პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

საბოლოვების მე-40 წელი № 36 (11647) | ხუთშაბათი, 11 თებერვალი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვი გაემგზავრა ინდონეზიაში

ინდონეზიის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის სუკარნოს მიწვევით 10 თებერვალს მოსკოვიდან „ილ-18“ თვითმფრინავით ინდონეზიაში მეგობრობის ვიზიტით გაემგზავრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

ინდონეზიაში მიმავალი ნ. ს. ხრუშჩოვი ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობისა და ბირმის კავშირის მთავრობის მიწვევით ესტუმრება ინდოეთსა და ბირმას, ხოლო შემდეგ გაემგზავრება ჯაკარტაში, სადაც ჩავა 18 თებერვალს. ინდონეზიიდან დაბრუნებული ნ. ს. ხრუშჩოვი მისი უდიდებულესობის ავღანეთის მეფის მუჰამედ ზაჰირ შაჰისა და ავღანეთის მთავრობის მიწვევით ესტუმრება ავღანეთს.

ნ. ს. ხრუშჩოვს ახლავან: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. უ. ულჯაბაევი, აზერბაიჯანის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ტ. ა. ტაიროვა, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიის წევრი ა. მ. მარკოვი, აგრეთვე ლ. თ. ილიჩოვი, პ. ა. სატიუკოვი, ა. ი. აჯუბეი, ვ. ს. ლებედევი, ო. ა. ტროიანოვსკი, ვ. ფ. გრუბიაკოვი, ვ. ი. ლიხაჩოვი, თ. თ. მოლოჩკოვი, მ. ა. ხარლამოვი, ვ. ბ. სპანდარიანი, გ. ს. სიდოროვიჩი, ნ. ს. ზაბაროვი.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, შეიკრიბა მოსკოვის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი.

ნ. ს. ხრუშჩოვი გააცილეს ამხანაგებმა ა. ბ. არისტოვმა, ლ. ი. ბრეჟნევმა, კ. ე. ვოროშილოვმა, ნ. გ. იგნატოვმა, ფ. რ. კოზლოვმა, ო. ვ. კუუსინენმა, ნ. ა. მუხიტდინოვმა, მ. ა. სუსლოვმა, ე. ა. ფურცევამ, ნ. მ. შვერნიკმა, პ. ნ. პოსპელოვმა, ა. ნ. კოსიგინმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ი. გ. ეიხფელდმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ა. თ. ზასიადკომ, დ. თ. უსტინოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებმა ს. მ. ბუდიონიმ, ვ. ი. უსტინოვმა, სსრ კავშირის მინისტრებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებმა, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებმა, საბჭოთა კავშირის მარშლებმა, მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, ინდონეზიის მოსკოვის საელჩოს თანამშრომლები სსრ კავშირში ინდონეზიის ელჩის ა. მალიქის მეთაურობით, ინდოეთის მოსკოვის საელჩოს თანამშრომლენი სსრ კავშირში ინდოეთის დროებითი საქმეთა რწმუნებულის ს. რ. ტ. თანის მეთაურობით, ბირმის კავშირის მოსკოვის საელჩოს თანამშრომლენი სსრ კავშირში ბირმის კავშირის ელჩის უ ჩინის მეთაურობით, სსრ კავშირში ავღანეთის საელჩოს თანამშრომლენი ავღანეთის ელჩის აბდულ ჰაქმ შაჰალამის მეთაურობით, აგრეთვე მრავალი საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტი.

დამსწრეთ გულთბილად გააცილეს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები და მშვიდობით მგზავრობა უსურვეს მათ. (საკდესი).

ჩალაბაშვილი სჯუმრად მალაშენკოსთან

სტავროპოლის სამხრეთით იმ მიდამოებში, სადაც სამოქალაქო ომის დროს უუბანის ლეგენდარული გმირი ი. კოჩუბეი იბრძოდა, ლამაზი რუსული სოფლებია გაშენებული. კოჩუბეის სახელს ატარებს რაიონი. უუბანის ველის გმირი — ასე უწოდებენ კოჩუბეის. ასევე უწოდებენ ცნობილ მწყემსს, სოციალისტური შრომის გმირს ივანე მალაშენკოს, რომელმაც საქვეყნოდ გაითქვა სახელი.

სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის უფროსმა მწყემსმა გიორგი ჩალაბაშვილმა გაზეთების საშუალებით შეიტყო მალაშენკოს შრომითი გმირობის ამბავი. შეიტყო, რომ ივანე ნიკიტას-ძე მალაშენკომ ორ წელიწადში სამჯერ დაადოლა თავისი ბრიგადის ცხვარი და ამით ყოველ 100 დედაცხვარზე 374 ბატკანი მიიღო, ფერმაში ნაპარსმა 10 კილოგრამს მიაღწია საშუალოდ ერთ ცხვარზე წელიწადში. ყოველ 100 დედაცხვარზე 305 ბატკანი ხომ გ. ჩალაბაშვილმაც მიიღო ორ წელიწადში. ძველანაგელმა მწყემსმა გადაწყვიტა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოეწვია სტავროპოლელი გმირი. ჯერ წერილი მისწერა, პასუხიც მიიღო, მაგრამ ეს არ კმარაო, იფიქრა, და უუბანის ველებისაკენ გაეშურა, რომ გასცნობოდა რუსი მეგობრის შრომითს საქმიანობას.

ქართველი მწყემსი ოლგინსკოეში ესტუმრა ი. მალაშენკოს. ძმურად გადეხვივნენ ერთმანეთს. ჩალაბაშვილმა მალაშენკოს ძვირფასი ქართული ჩოხა-ახალუხი და კრაველის ქუდი მიართვა. შემდეგ ი. მალაშენკომ თანამოსაქმეს დაათვალიერებინა ბრიგადის ცხვრის ბინები, მწყემსთა საცხოვრებელი. იგი დაწვრილებით მოუყვა თავის შრომითს მეთოდებზე, რითაც მიაღწია ასეთ დიდ წარმატებას.

კოლმეურნეობის სხვა ბრიგადებში ი. მალაშენკოს გამოცდილების ფართოდ დანერგვამ, — ამბობს ოლგინსკოეს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ბოჟკო, — დამატებით ერთ მილიონ მანეთზე მეტი შემოსავალი მოგვცა, ანუ დამატებით მივიღეთ 1.240 ცენტნერი ცხვრის ხორცი და 118 ცენტნერი მაღალხარისხოვანი მატყელი.

შემდეგ მეგობრებმა ხელი მოაწერეს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას. ხელშეკრულებას ხელი მოაწერა აგრეთვე ძველი ანაგის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ბეგიაშვილმა.

— ჩვენი ბრიგადა ინტერნაციონალურია, — უთხრა ი. მალაშენკომ გ. ჩალაბაშვილს, — მე რუსი ვარ, მწყემსი ა. დიოკინი უკრაინელია, მწყემსი პ. იურინი — ლატვიელი, ხოლო ა. ანიკელი — გერმანელი. აი კიდევ ერთი ძმა შეემატა ჩვენს ბრიგადას, ეს თქვენა ხართ, ამხანაგო გიორგი, თქვენ ჩვენი ბრიგადის საპატიო წევრი იქნებით.

— ასე გადავწყვიტეთ ჩვენც, — უთხრა გ. ჩალაბაშვილმა, — გულით და ფიქრით თქვენთან ვიქნებით, თქვენ კი ჩვენთან. დახმარება თუ საჭიროა, არც ამაში დავიზეთო უკან და თქვენგანაც ამასვე მოველით. — გეს ესტუმრეთ საქართველოში, ჩვენგანაც ისწავლით, ჩვენც გვაქვს ზოგი რამ კარგი.

— აუცილებლად გინახულებთ, ჩემს ძმას იურისაც მოვინახულებ თბილისში, იგი დიდი ხანია იქ ცხოვრობს.

— მობრძანდით, გელით ღია გულით! — ამბობენ ძველანაგელები და გულთბილად ეთხოვებიან უუბანელ მეგობრებს.

ვ. გოზალიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

• • •

სურათზე: სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ბეგიაშვილი (მარცხნივ), ი. მალაშენკო, სტავროპოლის მხარის კოჩუბეის რაიონის სოფელ ოლგინსკოეს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ბოჟკო და გ. ჩალაბაშვილი.

რძის წარმოება საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში

1960 წლის 1 თებერვლისათვის

	საშუალო ნაწველი კილოგრამობით: 1960 წლის 1 თებერვლისათვის	1959 წლის 1 თებერვლისათვის	გადიდება (+) შემცირება (—)
სულ რესპუბლიკაში	64	56	+ 8
რაიონები:			
ბათუმის	166	189	—23
ქობულეთის	129	116	+13
წითელწყაროს	124	112	+12
მახარაძის	116	91	+25
საგარეჯოს	105	106	— 1
ბოლნისის	99	98	+ 1
გურჯაანის	99	94	+ 5
თეთრი წყაროს	97	69	+28
ტყიბულის	96	78	+18
ორჯონიკიძის	95	69	+26
ბოგდანოვკის	94	87	+ 7
ლაგოდეხის	91	70	+21
წყალტუბოს	90	61	+29
მცხეთის	87	78	+ 9
ზესტაფონის	86	57	+29
თელავის	84	78	+ 6
სიღნაღის	83	62	+21
დმანისის	83	87	— 4
ყვარლის	83	76	+ 7
თერჯოლის	81	69	+12
ლანჩხუთის	75	62	+13
გეგეჭკორის	72	47	+25
სამგორის	71	79	— 8
ახმეტის	68	66	+ 2
ჩოხატაურის	68	67	+ 1
ახალქალაქის	67	52	+15
გაგრის	67	53	+14
დუშეთის	67	57	+10
მარნეულის	66	76	—10
ზუგდიდის	63	49	+14
წალკის	62	71	— 9
ვანის	61	45	+16
საჩხერის	60	43	+17
წულუკიძის	59	53	+ 6
ხაშურის	59	39	+20
სტალინირის	57	54	+ 3
ამბროლაურის	53	45	+ 8
მესტიის	53	43	+10
ქარელის	52	41	+11
გორის	50	40	+10
ცხაკაიას	49	37	+12
სამტრედიის	47	45	+ 2
ზნაურის	46	39	+ 7
ქედის	46	35	+11
წალენჯიხის	43	29	+14
აბაშის	41	45	— 4
ლენინგორის	38	30	+ 8
ყაზბეგის	38	34	+ 4
ჩხოროწყუს	37	25	+12
თიანეთის	36	30	+ 6
ჭიათურის	36	31	+ 5
სოხუმის	35	30	+ 5
მაიაკოვსკის	34	25	+ 9
ახალციხის	33	28	+ 5
კასპის	33	27	+ 6
გალის	33	29	+ 4
ონის	33	33	—
ოჩამჩირის	32	31	+ 1
ჯავის	28	34	— 6
გუდაუთის	28	26	+ 2
შუახევის	26	20	+ 6
ხობის	25	31	— 6
ცაგერის	24	23	+ 1
ადიგენის	23	22	+ 1
ხულოს	22	17	+ 5
ბორჯომის	20	17	+ 3
ასპინძის	16	15	+ 1
ლენტეხის	10	15	— 5
აჭარის ასსრ	68	60	+ 8
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	44	41	+ 3
აფხაზეთის ასსრ	36	32	+ 4

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის წლიური ვალდებულების შესრულება

1960 წლის 1 თებერვლისათვის (პროცენტობით)

	ხორცი (ყველა კატეგორიის მეურნეობებში)	რძე (ოჯახურ სახელმწიფოებში)
	%	%
სულ რესპუბლიკაში	6,9	4,2
აქედან რაიონები:		
ახალქალაქის	2,9	2,4
ბოგდანოვკის	5,4	4,2
ახალციხის	18,8	2,8
ადიგენის	11,1	4,0
ასპინძის	7,9	6,4
ხაშურის	2,4	3,6
ქარელის	5,8	3,1
გორის	2,8	3,1
კასპის	3,9	1,9
ბორჯომის	12,8	3,4
საგარეჯოს	11,3	5,2
გურჯაანის	3,6	7,2
სიღნაღის	2,8	7,2
წითელწყაროს	3,2	7,9
თელავის	5,7	4,2
ახმეტის	8,6	5,5
ყვარლის	1,4	6,2
ლაგოდეხის	15,9	10,7
ქალ. თბილისი-სამგორის	3,0	4,9
მცხეთის	3,0	5,7
მარნეულის	2,1	3,1
ბოლნისის	3,8	4,7
წალკის	6,0	2,0
დუშეთის	2,4	1,6
თეთრი წყაროს	15,0	3,3
დმანისის	5,1	4,3
თიანეთის	5,9	1,1
ყაზბეგის	0	5,9
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	9,4	2,1
წყალტუბოს რაიონი	9,1	3,3
სამტრედიის	22,8	1,8
წულუკიძის	8,6	4,1
ვანის	8,8	2,3
მაიაკოვსკის	14,3	4,5
ზესტაფონის	14,4	4,5
თერჯოლის	10,1	1,4
ქალ. ჭიათურა	18,0	2,5
საჩხერის	26,0	3,9
ორჯონიკიძის	17,4	5,2
ტყიბულის	24,6	10,0
ონის	20,5	7,5
ამბროლაურის	6,1	4,7
ცაგერის	14,8	0
ლენტეხის	27,2	0
აბაშის	6,6	2,7
ცხაკაიას	4,1	2,5
გეგეჭკორის	10,0	3,5
ზუგდიდის	7,8	4,4
ხობის	3,2	0,3
წალენჯიხის	10,3	2,7
ჩხოროწყუს	16,7	4,7
მახარაძის	14,7	5,9
ლანჩხუთის	15,7	8,5
ჩოხატაურის	27,6	2,4
მესტიის	0	0
ქალ. ფოთი	1,9	3,0
აფხაზეთის ასსრ	8,5	2,3
აჭარის ასსრ	9,1	3,7

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

თამბაქოს დამზადების გეგმის შესრულება საქართველოს სს რესპუბლიკაში

1960 წლის 1 თებერვლისათვის (ტონობით)

	სულ: გეგმა	სულ: შესრულება	სულ: შესრულების %	1960 წელს %-ით 1959 წელთან შედარებით
აფხაზეთის ასსრ	8.200	9.165	111,8	109,3
აჭარის ასსრ	1.500	2.027	135,1	130,5
ლაგოდეხის რაიონი	3.400	3.401	100,0	96,8
მარნეულის რაიონი	3.600	2.609	72,5	92,3
ბოლნისის რაიონი	500	337	67,4	87,3
სულ საქართველოს სსრ	17.200	17.539	102,0	105,2
1958 წლის 1 თებერვლისათვის იყო	16.500	16.666	101,0	

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო საფრანგეთის ელჩი მ. დეჭანი

9 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო საფრანგეთის ელჩი საბჭოთა კავშირში მ. დეჭანი და საუბარი ჰქონდა მასთან საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია საფრანგეთში საბჭოთა მთავრობის მეთაურის ყოფნის პროგრამის დაზუსტებასთან.

საუბარს დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

ჯოვანი გრონკი სსრ კავშირში

9 თებერვალს კრემლში საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელები კვლავ შეხვდნენ იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტ ჯოვანი გრონკის. საუბარში მონაწილეობა მიიღეს: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, იტალიის მხრივ პრეზიდენტთან ერთად — საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯუზეპე პელამ.

საუბრის დროს გაგრძელდა აზრთა გულახდილი გაზიარება საერთაშორისო საკითხებზე და განხილულ იქნა საბჭოთა კავშირ-იტალიის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები.

• • •

9 თებერვალს იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯოვანი გრონკი ეწვია მოსკოვის უნივერსიტეტს ლენინის გორაზე. სალექტორიუმში აკადემიკოსმა ი. გ. პეტროვსკიმ ჯოვანი გრონკის გადასცა დიპლომი მისთვის მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ.

მიღებულია საბჭოთა კავშირ-იტალიის ერთობლივი კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ მხარეებმა განიხილეს საერთაშორისო პრობლემები და იტალია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხი.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 9 თებერვალს კრემლის დიდ დარბაზში დარბაზობა გამართა იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჯოვანი გრონკის პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი და სხვები.

დარბაზობის დროს კ. ე. ვოროშილოვმა, ჯოვანი გრონკიმ და ნ. ს. ხრუშჩოვმა სიტყვები წარმოთქვეს.

დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

• • •

9 თებერვალს გვიან საღამოს მოსკოვიდან ლენინგრადს გაემგზავრნენ იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯოვანი გრონკი მეუღლითურთ, მისი ვაჟი და ოფიციალური თანმხლები პირები.

პრეზიდენტ ჯოვანი გრონკის ლენინგრადში მოგზაურობისას ახლავან რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ნ. ორგანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი და სხვები. (საკდესი).

ლენინგრადი, 10 თებერვალი. (საკდესი). დღეს დილით ლენინგრადში ჩამოვიდა იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯოვანი გრონკი. მოსკოვის ვაგზალზე საპატიო სტუმარს გულთბილად შეხვდნენ ლენინგრადელები. პრეზიდენტ ჯოვანი გრონკის გულითადად მიესალმა ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. სმირნოვი. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა.

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია მოსკოვში

საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთ დახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მე-10 წლისთავის დღესასწაულზე მოსკოვში ჩამოვიდა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენლთა კრების მუდმივი კომიტეტის წევრი, სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე ლიუ ჩან-შენი. (საკდესი).

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-იტალიის კულტურულ შეთანხმებას

კრემლის დიდ სასახლეში 9 თებერვალს ხელი მოაწერეს კულტურულ შეთანხმებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იტალიის რესპუბლიკას შორის. შეთანხმება განსაზღვრავს ორი ქვეყნის თანამშრომლობის საფუძვლებს კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების, ტექნიკისა და სპორტის დარგში.

შეთანხმებით გათვალისწინებულია პროფესორების, პედაგოგების, სტუდენტების, მწერლების, მსახიობების, ჟურნალისტების გაცვლა და სხვ.; სტიპენდიების დაარსება ორივე ქვეყნის მოქალაქეთათვის; ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცვლა აკადემიებსა და სხვა მეცნიერულ და კულტურულ დაწესებულებებს შორის; ხელისშეწყობა ტურიზმის განვითარებისათვის; წიგნების, პერიოდული გამოცემების, სხვადასხვა გამოფენის, რადიოგადაცემებისა და საელევიზიო გადაცემების გაცვლა კულტურის, ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, დოკუმენტური ფილმების, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული დელეგაციების, თეატრალური, მუსიკალური და მხატვრული კოლექტივების გაცვლა.

შეთანხმების შესაბამისად არსდება შერეული კომისია, რომელიც შეიმუშავებს კულტურული გაცვლის პროგრამებს. კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური გაცვლის წლიური გეგმის შედგენა, რაზეც იმუშავებს საბჭოთა კავშირ-იტალიის შერეული კომისია, არ გამორიცხავს აგრეთვე იმას, რომ სხვა ორნისძიებანი განხორციელდეს კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის დარგში, როგორც ორივე ქვეყნის სახელმწიფო ხაზით, ისე არამთავრობის ორგანიზაციებისა და ცალკეულ მოქალაქეთა ხაზით.

შეთანხმება უნდა დამტკიცდეს და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის მომენტიდან.

შეთანხმებას ხელს აწერენ: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უცხო ქვეყნებთან კულტურულ ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი და იტალიის რესპუბლიკის სახელით — საგარეო საქმეთა მინისტრი ჯუზეპე პელა.

კულტურული შეთანხმების შესახებ მოლაპარაკების ოქმებს ხელი მოაწერეს გ. ა. ჟუკოვმა და იტალიის ელჩმა სსრ კავშირის გრაფმა ლუკა პიეტრო მარკიმ.

ხელის მოწერას დაესწრნენ საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები და იტალიის სახელმწიფო მოღვაწეები. (საკდესი).

მესიმინდეთა საკავშირო თათბირი

კრასნოდარი, 9 თებერვალი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა მესიმინდეთა სრულიად საკავშირო თათბირი, რომელშიც მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის მეცნიერები, სოფლის მეურნეობისა და პურის პროდუქტების რესპუბლიკური სამინისტროების ხელმძღვანელი მუშაკები, გადასამუშავებელი ქარხნების მუშაკები, აგრონომები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავეები, სულ დაახლოებით 600 კაცი.

კრასნოდარის სამხარეო დრამატული თეატრის ვრცელი ფოიეები გამოფენად გადაიქცა. აქ ფართოდ არის ნაჩვენები სიმინდის სულ სხვადასხვა პროდუქტი— დაწყებული ფქვილითა და ღერღილით და დამთავრებული ლუდით, არყითა და შოკოლადით. კრასნოდარის სასადილოებმა და რესტორანებმა გამოფენაზე წარმოადგინეს სიმინდის 50-ზე მეტი სხვადასხვა კერძი.

თათბირის მონაწილეებმა პლენარულ სხდომაზე მოისმინეს რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ს. ვ. კალჩენკოს, უკრაინის სსრ — მ. ს. სპივაკის და მოლდავეთის სსრ — ს. პ. ეფიმოვის მოხსენებანი 1959 წელს სიმინდის მოყვანის შედეგებისა და 1960 წელს სიმინდის ჰიბრიდული თესლის წარმოების შესახებ, აგრეთვე ამ რესპუბლიკების პურის პროდუქტების სამინისტროთა წარმომადგენლების მოხსენებანი სიმინდის თესლის დამზადებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ.

10 თებერვალს მუშაობას დაიწყებენ სიმინდის სელექციისა და მეთესლეობის, აგროტექნიკისა და მოყვანის მექანიზაციის სექციები.

თათბირი ხუთ დღეს გაგრძელდება.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

აკადემიკოს ი. ვ. კურჩატოვის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

მხედველობაში მიიღეს რა აკადემიკოს ი. ვ. კურჩატოვის თვალსაჩინო დამსახურება ატომგულის ფიზიკის განვითარებასა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომური ენერგიის ინსტიტუტის შექმნაში, რომლის დირექტორადაც იგი მუშაობდა მისი დაარსების დღიდან, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს:

1. მიეკუთვნოს ი. ვ. კურჩატოვის სახელი:

ა) სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომური ენერგიის ინსტიტუტს ქალაქ მოსკოვში და ამიერიდან დაერქვას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ი. ვ. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტი;

ბ) ბელოიარსკოეს ატომურ ელექტროსადგურს.

2. დაიდგას ი. ვ. კურჩატოვის ბიუსტი ატომური ენერგიის ინსტიტუტში და ბელოიარსკოეს ატომურ ელექტროსადგურში, აგრეთვე გაკეთდეს მემორიალური დაფა ი. ვ. კურჩატოვის სახსოვრად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ფიზიკურ-ტექნიკური ინსტიტუტის შენობაზე.

3. მიღებულ იქნას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წინადადება, რომ დაწესდეს აკადემიკოს ი. ვ. კურჩატოვის სახელობის მედალი, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ 20 ათას მანეთ ფულად პრემიასთან ერთად მიენიჭება ატომგულის ფიზიკის დარგში თვალსაჩინო მუშაობისათვის.

დაევალოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას დაამტკიცოს ი. ვ. კურჩატოვის სახელობის მედლის მინიჭების წესის დებულება.

4. დაუწესდეს ი. ვ. კურჩატოვის მეუღლეს — მარინე დმიტრის ასულ კურჩატოვას სამუდამო პერსონალური პენსია.

რიაზანელების შესრულდა!-ამბობენ თეთრწყაროელები

თქვენთან ერთად, ამხანაგებო!

ჩვენს დიად ქვეყანაში იშვიათია ისეთი ადამიანი, რომელიც არ იცნობდეს რიაზანის ოლქის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მშრომელთა შესანიშნავ წარმატებებს. რიაზანელებმა მარტო ერთ წელიწადში ოთხჯერ გაზარდეს ხორცის წარმოება და სახელმწიფოს მიჰყიდეს სამჯერ მეტი ხორცი, ვიდრე წინა წელს.

ჩვენ ახლა დიდი სიამაყის გრძნობით ვიგონებთ რიაზანს. მისი ადამიანების წარმატება გვახარებს, რადგან მათი მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რა სასწაულს მოხდენა შეუძლია საბჭოთა ადამიანს, რომელსაც კომუნიზმის დიადი იდეები ამოძრავებს.

თეთრი წყაროს რაიონის მშრომელთა დელეგაცია ამას წინათ ჩავიდა სასოფლო რაიონში — რიაზანის ოლქის ერთ-ერთ მოწინავე რაიონში ამისათვის, რომ შეესწავლა ჩვენი რუსი მეგობრების გამოცდილება, კერძოდ მეცხოველეობის განვითარებაში.

რა თქმა უნდა, ჩვენს მასპინძლებს დიდი გამოცდილება აქვთ, მაგრამ არც თეთრწყაროელები დარჩენილან ვალში. გასული წელი ჩვენი რაიონის მშრომელთათვის დაძაბული შემოქმედებითი შრომისა და ახალ წარმატებათა წელი იყო. დიადი შვიდწლედის პირველ წელს ჩვენი რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აწარმოეს 3,3-ჯერ მეტი ხორცი და 1,6-ჯერ მეტი რძე, ვიდრე 1958 წელს. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა შარშან 1.500 სულით გაიზარდა.

ჩვენი მასპინძლები ყველგან გულღიად, დიდი პატივისცემით გვხვდებოდნენ, ხალისით გვიამბობდნენ თავიანთ წარმატებათა „საიდუმლოებაზე“. უშუალოდ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ჩაღდებოდა სოციალისტური შეჯიბრება ქართველ და რუს მეგობართა შორის. მაგალითად, კლარა ცეტკინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის სახელით მეურნეობის დირექტორმა ი. სილკინმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ჩვენი რაიონის მანგლისის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი.

სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღდა კოლმეურნეობა „ოქტომბრის 40 წელსა“ და ალგეთის კოლმეურნეობას შორის. სასოფლო რაიონის სხვადასხვა კოლმეურნეობებთან შეჯიბრებაში ჩაებნენ ჩვენი რაიონის ასურეთის, თეთრი წყაროს, კოდის, ჯიგრაშენის, დუმანისის და სხვა კოლმეურნეობები.

სასოფლელს სოციალისტურ შეჯიბრებაში რომ ვიწვევდით, ჩვენ ვიცოდით, რა სერიოზულ „მოწინააღმდეგესთან“ გვექნებოდა საქმე, მაგრამ ჩვენი რაიონის ყველა მეცხოველე მზად არის დაუღალავად იშრომოს, რათა უახლოეს წლებში არა მარტო დავეწიოთ, არამედ გავუსწროთ კიდეც მათ ხორცისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში.

წელს ჩვენი რაიონის საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები სახელმწიფოს მიჰყიდიან სამჯერ მეტ ხორცსა და ორჯერ მეტ კვერცხს, ვიდრე შარშან, სახელმწიფოს ჩაბარებენ 1.000 ტონით მეტ რძეს. 1960 წლის დასასრულისათვის რაიონში გვეყოლება 17.160 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი (მათ შორის 4.640 ძროხა), 48 ათასი ცხვარი (32 ათასი დედაცხვარი), 1.290 დედაღორი. ჩვენს მეღორეებს გადაწყვეტილი აქვთ მთლიანად რაიონში თვითეულ დედაღორზე გაზარდონ სულ მცირე 14 გოჭი, თვითეულ ჰექტარ მარცვლეულის ნათესზე გვეყოლება სულ მცირე 5 კვერცხმდებელი ქათამი, თვითეულ დედალზე მივიღებთ 80 კვერცხს, ფუტკრის რაოდენობას ავიყვანთ 3.460 ოჯახამდე, თვითეულ სკაზე მივიღებთ 16 კილოგრამ თაფლს.

ამ ამოცანების შესრულებაში დიდ დახმარებას გაგვიწევს ჩვენი სასოფლელი მეგობრებისაგან მიღებული გამოცდილება.

მე, როგორც პარტიულ მუშაკს, მაინტერესებდა როგორ ახორციელებენ მასების წინამძღოლის როლს პარტიული ორგანიზაციები, როგორ არის მოწყობილი მშრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ რიაზანელ მეცხოველეთა შესანიშნავი წარმატების ერთ-ერთი საფუძველია ის, რომ პარტიული ორგანიზაციები ნამდვილად სათავეში უდგანან მასების აქტივობას, მუშაობაში იჩენენ შემოქმედებით თაოსნობას. სასოფლო რაიონში, ისევე როგორც მთელ რიაზანის ოლქში, ვერ იპოვნით ისეთ მწველავს, მეღორეს, მეხბორეს, სოფლის მეურნეობის ვერც ერთ მუშაკს, რომელმაც არ იცოდეს, რისთვის იბრძვის მიმდინარე წელს ოლქი, რაიონი, კოლმეურნეობა თუ საბჭოთა მეურნეობა, რა უნდა გააკეთოს პირადად მან საერთო წარმატების მისაღწევად.

— „სალამი მოწინავეებს! დღეს ყველაზე მეტი მოწველა ნინო პოლიაკოვამ. — წერია ლამაზად გაფორმებულ დაფაზე. რისთვის იბრძვის კოლმეურნეობა, ფერმა, ბრიგადა თუ რგოლი — ამის გასაგებად შორს წასვლა როდი გჭირდებათ. ამის პასუხს წაიკითხავთ შენობათა კედლებზე, ქუჩებში, ლენინის კუთხეებში, კლუბებსა თუ სამკითხველოებში გაკრულ ფურცლებზე. მასების მობილიზაციის საქმეს ემსახურება სპეციალური ბიულეტენები, მიმართვები, მრავალტირაჟიანი, რაიონული და საოლქო გაზეთები, ძირეული პრესა, ფოტოალბომები, პლაკატ-ლოზუნგები, გარდამავალი დროშები, ვიმპელები, საპატიო დაფები, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა მეთოდი და საშუალება.

პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებას ემსახურება მოწინავეთა წახალისების პრაქტიკა, რასაც რიაზანის ოლქში ფართოდ იყენებენ. ჩვენ ვიყავით სასოფლოს რაიონის მეცხოველეობის მუშაკთა თათბირზე, რომელსაც 1.200-ზე მეტი კაცი დაესწრო. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ თათბირის მონაწილეთაგან დაჯილდოებულ იქნა ათასამდე მოწინავე მეცხოველე.

ჩვენ მთლიანად გამოვიყენებთ რიაზანელი მეგობრების გამოცდილებას. დარწმუნებული ვართ ჩვენი და სასოფლოს რაიონების მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება ხელს შეგვიწყობს შრომაში.

ა. გურგენიძე,
საქართველოს კპ თეთრი წყაროს რაიკომის მეორე მდივანი, საბჭოთა კავშირის გმირი.

მეგობრები სწავლობენ ერთმანეთისგან

როგორც „**კომუნისტის**“ მკითხველებისათვის ცნობილია, ჩვენი რესპუბლიკის თეთრი წყაროს რაიონის მშრომელები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ რიაზანის ოლქის სასოფლოს რაიონის მშრომელებთან.

თეთრწყაროელთა დელეგაცია ოთხ დღეს იმყოფებოდა სასოფლოს რაიონში. დელეგაციის წევრები გულდასმით გაეცნენ ამ მოწინავე რაიონის მშრომელთა შესანიშნავ გამოცდილებას საზოგადოებრივი, მეცხოველეობის განვითარების, კერძოდ ხორცისა და რძის წარმოების გადიდების დარგში და მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ სამშობლოში.

როგორ ნერგავთ სასოფლელთა გამოცდილებას თქვენს რაიონსა და კოლმეურნეობაში? ამ კითხვით მიმართა რედაქციამ რიაზანის ოლქიდან დაბრუნებულ თეთრწყაროელთა დელეგაციის წევრებს.

ამ გვერდში ვაქვეყნებთ მილებული წერილების ნაწილს.

პირველი ნაბიჯები

თეთრწყაროელებსა და რიაზანის ოლქის სასოფლოს რაიონის მშრომელთა შორის გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ახლა სასოფლელების მსგავსად დიდი ყურადღება ექცევა ფერმებში შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციას, პირუტყვის მოვლა-პატრონობასა და კვების რაციონის დაცვას.

გამოცდილების გაზიარებისა და წარმოებაში დანერგვის პირველმა დღეებმა გვიჩვენა, რომ რაიონს ყველა შესაძლებლობა აქვს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გაზრდისათვის. ამის დამადასტურებელია იანვრის შედეგები. ბეჯითი შრომის შედეგად რაიონის მეცხოველეებმა მიიღეს 280.000 კილოგრამი რძე, რაც თვითეულ საფურაჟე ძროხაზე შეადგენს 85 კილოგრამს. ეს კი თითქმის ორჯერ მეტია გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით.

განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია იანვარში დაბა თეთრი წყაროს კოლმეურნეობამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი გ. ბელიაევი ხელმძღვანელობს. ბელიაევმა სასოფლოდან ჩამოსვლისთანავე ახლებურად მოაწყო მუშაობა და უწინარეს ყოვლისა მექანიზებული ფერმის რეკონსტრუქცია მოახდინა. ამან მნიშვნელოვნად გაზარდა წველადობა. კოლმეურნეობამ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე იანვარში მიიღო 106 ლიტრი რძე, რაც 28 ლიტრით მეტია გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით. ცალკეული მწველავებიდან თავი ისახელეს მ. არაქელიანმა და მ. მარქაროვამ, რომლებმაც 10-10 ძროხაზე მიიღეს 2.200-2.500 ლიტრი რძე.

რაიონის მოწინაე მწველავთა შორის დიდ წარმატებებს მიაღწია ირაგის კოლმეურნეობის მწველავმა ვარვარა ირემაძემ. მან საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე 224 კილოგრამი რძე მიიღო და იანვარში ნაკისრ ვალდებულებას 74 კილოგრამით გადააჭარბა. ასეთი მწველავი რაიონში ამჟამად ბევრია.

ხასოფელი მეგობრების მსგავსად, რაიონში განსაკუთრებული ყურადღება იქცევა ხორცის და განსაკუთრებით ღორის ხორცის წარმოების ზრდას. უმაკლეს ვადაში, იანვრის 8 დღეში რაიონმა პირნათლად გაანაღდა 6 თვის დავალება და სახელმწიფოს მიჰყიდა 4.492 ცენტნერი ხორცი. მათ შორის იანვარკის, დუმანისის და კოდის კოლმეურნეობებმა წლიური გეგმებიც კი გაანაღდეს. ამჟამად რაიონში სუქებაზე დაყენებულია 3.000 სულამდე მსხვილფეხა პირუტყვი.

ახლა კოლმეურნეობებში ენერგიულად მუშაობენ ღორის ხორცის წარმოების გადიდებისათვის. ამ მხრივ სერიოზული ვალდებულებები იკისრეს ასურეთელმა მეღორეებმა. აქ ახალი წლიდანვე დაიწყო ბრძოლა ღორის ხორცის ღირებულების გაიაფებისათვის. წელს ასურეთელები სუქებაზე დაყენებენ 400 სულ ღორს და სახელმწიფოს მიჰყიდიან 40.000 კილოგრამ ღორის ხორცს. ამ დღეებში შესანიშნავად შრომობს თეთრწყაროელი მეღორე გ. ფილიევი, რომელმაც სუქებაზე დაყენა 100 ღორი.

ღორის ხორცის წარმოების გადიდების საქმეში პატრიოტული ვალდებულებები იკისრეს რაიონის მუშა-მოსამსახურეებმა და სკოლა-კოლმეურნეობებმა. მათი ძალებით ქვეყანა მიიღებს 100 ტონა ღორის ხორცს. კარგი მაგალითი გვიჩვენეს თეთრი წყაროს სკოლა-ინტერნატმა და სამომბმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა, რომლებმაც სახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს 10 ტონამდე ღორის ხორცი.

ცნობილმა მეფრინველემ, ირაგის კოლმეურნეობის წევრმა კ. ლაზარიდიმ ვალდებულება იკისრა 1960 წელს თვითეულ კვერცხმდებელ ქათამზე მიიღოს 120 ცალი კვერცხი და გაზარდოს 2.000 წიწილა. მას ფართოდ გამოეხმაურნენ რაიონის მეფრინველეები — ასურეთელი ლ. აზარიაშვილი, ალექსეევკელი ი. ეფრემენკო და სხვები.

კოდის კოლმეურნეობის ცნობილმა მექანიზატორმა ა. მიკრიტუმაშვილმა მანუკოვსკის მეთოდით დაიწყო მეძროხეობის ფერმებში ჩალის საჭრელი მექანიზმის დადგმა და გაჰყავს საჰაერო-საბაგირო გზა, რომელიც საკვების მისაწოდებლად და ნაკელის გასატანად არის განკუთვნილი. მალე იგი და მისი მეგობრები დაიწყებენ ავტომატური სარწყველელი მექანიზმების გამართვას.

რუსი მეგობრების გამოცდილებით

მად. რაიონში სუქებაზე დაყენებულია 3.000 სულამდე მსხვილფეხა პირუტყვი.

ახლა კოლმეურნეობებში ენერგიულად მუშაობენ ღორის ხორცის წარმოების გადიდებისათვის. ამ მხრივ სერიოზული ვალდებულებები იკისრეს ასურეთელმა მეღორეებმა. აქ ახალი წლიდანვე დაიწყო ბრძოლა ღორის ხორცის ღირებულების გაიაფებისათვის. წელს ასურეთელები სუქებაზე დაყენებენ 400 სულ ღორს და სახელმწიფოს მიჰყიდიან 40.000 კილოგრამ ღორის ხორცს. ამ დღეებში შესანიშნავად შრომობს თეთრწყაროელი მეღორე გ. ფილიევი, რომელმაც სუქებაზე დაყენა 100 ღორი.

ღორის ხორცის წარმოების გადიდების საქმეში პატრიოტული ვალდებულებები იკისრეს რაიონის მუშა-მოსამსახურეებმა და სკოლა-კოლმეურნეობებმა. მათი ძალებით ქვეყანა მიიღებს 100 ტონა ღორის ხორცს. კარგი მაგალითი გვიჩვენეს თეთრი წყაროს სკოლა-ინტერნატმა და სამომბმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა, რომლებმაც სახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს 10 ტონამდე ღორის ხორცი.

ცნობილმა მეფრინველემ, ირაგის კოლმეურნეობის წევრმა კ. ლაზარიდიმ ვალდებულება იკისრა 1960 წელს თვითეულ კვერცხმდებელ ქათამზე მიიღოს 120 ცალი კვერცხი და გაზარდოს 2.000 წიწილა. მას ფართოდ გამოეხმაურნენ რაიონის მეფრინველეები — ასურეთელი ლ. აზარიაშვილი, ალექსეევკელი ი. ეფრემენკო და სხვები.

კოდის კოლმეურნეობის ცნობილმა მექანიზატორმა ა. მიკრიტუმაშვილმა მანუკოვსკის მეთოდით დაიწყო მეძროხეობის ფერმებში ჩალის საჭრელი მექანიზმის დადგმა და გაჰყავს საჰაერო-საბაგირო გზა, რომელიც საკვების მისაწოდებლად და ნაკელის გასატანად არის განკუთვნილი. მალე იგი და მისი მეგობრები დაიწყებენ ავტომატური სარწყველელი მექანიზმების გამართვას.

რომელ უბანზეც უნდა მოხდეთ, ახლა რაიონში ყველგან ნახავთ უმაღლესი შრომითის ენთუზიაზმს. შემოქმედება, ძიება, მუშაობის ახლებურად მოწყობა ყველა კოლმეურნეობაში იგრძნობა. თეთრწყაროელები გაბედულად ნერგავენ სასოფლელთა გამოცდილებას და შვიდწლედის ზღუდეების ახალებად ავლენენ ახალ-ახალ გამოუყენებელ რეზერვებს.

გაზეთ „კომუნისტის“ საგუშაგო თეთრი წყაროს რაიონში:

ნ. ნასარიძე, ჰ. გურგენიძე — რაიონული გაზეთის „საკოლმეურნეო გზით“ მუშაკები,

ტ. დალაქიშვილი — კოდის კოლმეურნეობის მექანიკატორი,

დ. მალაქშანიძე — ასურეთის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავი.

* * *

თეთრი წყაროს კოლმეურნეობის მეხბორე რაისა ტიმანისტი, რომელიც წარმატებით უვლის 70 ხბოს.

პიონერთა წვლილი

საყოველთაოდ ცნობილი გახდა თეთრი წყაროს და რიაზანის ოლქის სასოფლოს რაიონების მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების ამბავი. თეთრწყაროელთა დელეგაციის წევრები, რომლებიც ამას წინათ სტუმრად იყვნენ სასოფლოს რაიონში, თვითეულ კოლმეურნეობასა და ფერმაში მომუშავეებს აცნობენ სასოფლელთა მდიდარ გამოცდილებას. თეთრწყაროელებმა ენერგიული შრომა გააჩაღეს შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა გასაღებისათვის.

ამ დიდ თაოსნობაში აქტიურად მონაწილეობენ სკოლა-კოლმეურნეობების მოსწავლეები. ამ მხრივ ნაყოფიერად მუშაობენ სოფელ ჩხიკვთის სკოლა-კოლმეურნეობის მოსწავლეები. ამ მხრივ გამოირჩევა ამ სკოლა-კოლმეურნეობის მოწინავე, შრომისმოყვარე პიონერი მეექვსეკლასელი მზიური ბაიდარაშვილი. იგი საუკეთესოდ უვლის ფრინველებს და თავის ამხანაგებთან ერთად ვალდებულება იკისრა წელს გაზარდოს 200 ფრთა ქათამი და თვითეულ კვერცხმდებელ ქათამზე მიიღოს 95 ცალი კვერცხი.

საწარმოო საბჭო

თეთრი წყაროს. („**კომუნისტის**“ **კორ.**). სასოფლელთა მაგალითის მიხედვით აქ შეიქმნა სკოლმეურნეობათაშორისო საწარმოო საბჭო. მასში გაერთიანდნენ რაიონის მოწინავე კოლმეურნეობები. აღნიშნული საბჭოს დანიშნულებაა კოლმეურნეობათა გაერთიანებული სახსრებით შექმნილ მსხვილი საკოლმეურნეობათაშორისო წამოწყებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის მძლავრ განვითარებას.

საბჭომ უკვე მოაწყო ღორების გაზრდისა და გასუქების პუნქტი. ამ პუნქტში ამჟამად 70 დედაღორი ჰყავთ. მიღებული ნამატი ორი სამი თვის ასაკში გადაეცემა კოდის სასუქებელ პუნქტს, საიდანაც 80-100 კილოგრამი წონის მიღწევისას ღორებს მიჰყიდიან სახელმწიფოს. გამოანგარიშებულია, რომ ამ წესით ღორების გაზრდა და გასუქება თვალსაჩინოდ გააიაფებს ღორის ხორცის წარმოებას.

საწარმოო საბჭოს განკარგულებაში გადაეცა მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმა, რომელიც 8.000 კვერცხმდებელ ქათამს ითვლის. გათვალისწინებულია, რომ თვითეულ კვერცხმდებელ დედალზე წელს მიიღონ არანაკლებ 80-100 კვერცხისა.

საწარმოო საბჭოს თითო თვითმორიგეობით ხელმძღვანელობენ საბჭოში გაერთიანებულ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები.

ღაპარაკობენ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები

რეზერვები— სიუხვის წყარო

მე წილად მხვდა ვყოფილიყავი ჩვენი რაიონის კოლმეურნეთა დელეგაციაში, რომელმაც ინახულა სასოფლოს რაიონი და გაეცნო აღნიშნული რაიონის სოფლის მშრომელთა საქმიანობას. მე განსაკუთრებით ზედმიწევნით გავეცანი კოლმეურნეობა „ოქტომბრის 40 წელს“. ამ კოლმეურნეობაში კარგად არის დაყენებული საქმე ხორცისა და რძის წარმოების გადიდების მხრივ. ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რომ აქ ყველა ძროხა ჯიშიანი და მაღალპროდუქტიულია. თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობა 3.500 ლიტრს აღწევს. ყოველ მწველავზე მიმაგრებულია 12-14 ძროხა. ფერმებში მექანიზირებულია დარწყულება, საკვების მიწოდება და ნაკელის გატანა. ძროხებს უვლიან დადგენილი მტკიცე განაწესის მიხედვით. ნახულით დავრწმუნდი, რომ მაღალპროდუქტიული ძროხები მტკიცე საკვებ ბაზა — მაღალი წველადობის წყაროა.

სასოფლოდან დაბრუნების შემდეგ ჩვენი არტელის წევრებს დაწვრილებით გავეცანი კოლმეურნეობა „ოქტომბრის 40 წლის“ მშრომელთა მიღწევები. ამავე კრებებზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღიშნულ კოლმეურნეობასთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ.

ჩვენი გადაწყვეტილება ლიტონ სიტყვად რომ არ დარჩენილიყო, მაშინვე დავიწყეთ მსჯელობა რეზერვებზე, იმ ახალ შესაძლებლობათა გამონახვაზე, რომელთა მოქმედებაში მოყვანა ხელს შეუწყობდა მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შექმნას. ამ მიზნით გადავწყვიტეთ მთელი ძალღონე მივგემართნა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესებისაკენ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ამ საქმეში თვალსაჩინო როლს ითამაშებს ხელოვნური დათესვლის მოწოდების სიმაღლეზე დაყენება.

უკანასკნელ დღეებში მნიშვნელოვნად გავაუმჯობესეთ ძროხების მოვლა, მათი კვება. ახლა თვითეულ ლიტრ მოწველილ რძეზე ძროხას საკვებად ვაძლევთ 300 ჯრამ კომბინირებულ საკვებს, მაძღრად სილოსს და საჭირო რაოდენობის უხეშ საკვებს.

შემდგომშიც არ შევანელებთ ყურადღებას მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის განმტკიცებაზე. ამ საქმეში განსაკუთრებული ადგილი უკავია სიმინდს. წელს 100 ჰექტარზე დავთესავთ სიმინდს, თვითეულ ძროხაზე ჩავდებთ 10-12 ტონა სიმინდის სილოსს, დავამზადებთ სხვა საკვებსაც იმდენი რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს ჩვენი ფერმების პირუტყვს მთელი წლის განმავლობაში.

უკვე შევუდექით კოლმეურნეებისა და მოსამსახურეებისგან 2-3 კვირის ასაკის ხბორების შეძენას. ამ მოზარდეულს გამოვზრდით, გავასუქებთ და მივყიდით სახელმწიფოს.

ხორცის წარმოების შემდგომი გაიაფების მიზნით, ჩვენი ჯოლმეურნეობა შარშანდელი მაგალითის მიხედვით წელსაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს პირუტყვის საკოლმეურნეობათაშორისო გასასუქებელი პუნქტების მოწყობაში, გამოზრდის და ამ პუნქტს გასასუქებლად გადასცემს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის დიდ ჯგუფს. ეს კი შესაძლებლობას მოგვცემს წელს სახელმწიფოს მივყიდოთ 1.380 ცენტნერი ხორცი და 250 ტონა რძე.

ა. ბრეჩკინი,
სოფელ ალგეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

წარმატებას მოვიპოვებთ

სახოფლო **რაიონში ყოფნისას ყველაფერმა, რაც იქ ვნახეთ, ნათლად დაგვარწმუნა, რომ მათ მიერ საკოლმეურნეო წარმოების ყველა უბანზე მოპოვებული დიდი წარმატებანი შრომის სანმეუშო ორგანიზაციის შედეგია.**

ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა კოლმეურნეობა „პროგრესი“ მომხდარმა უდიდესმა ცვლილებებმა. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. როტკინი არტელს სათავეში ჩასდგომია 1953 წელს. იმ დროს კოლმეურნეობას არა ჰქონია არც მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სადგომი ბინები და არც ტიპური საღორეები. არტელს მაშინ სულ ჰყოლია 116 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და 170 ღორი.

ახლა ამ კოლმეურნეობას მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ყავს 960 სული, ხოლო ღორი — 700. მას შემდეგ, რაც არტელს ამხ. როტკინი ხელმძღვანელობს, აუშენებიათ კაპიტალური კეთილმოწყობილი ბინები პირუტყვისათვის, ტიპური საღორეები. ამის გარდა, კოლმეურნეობას შეუძენია 21 ტრაქტორი და 12 ავტომანქანა.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას საუკეთესო პირობები შეუქმნია მეცხოველეებისათვის. აუშენებიათ საერთო საცხოვრებელი სახლი მწველავებისა და მეცხოველეობის სპეციალისტებისათვის, ავრეთვე სხვა მოწინავე კოლმეურნეებისათვის.

როდესაც ამ კოლმეურნეობის მიღწევებს გავეცანით, გუნებაში ჩვენი არტელის შესაძლებლობებსაც გადავხედეთ. დიახ, მთაზე არანაკლებ ჩვენც შეგვიძლია უკეთ მოვაწყოთ ჩვენი არტელის წევრთა ცხოვრება-მეთქი, გავიფიქრეთ. სასოფლოდან დაბრუნების შემდეგ საქმეს პრაქტიკულად მოვკიდეთ ხელი.

უკვე ავაშენეთ პური საცხობი. ამიერიდან ჩვენი კოლმეურნეები ყოველდღიურად მიიღებენ ახალ გამომცხვარ პურს. ყველა კოლმეურნეს აქვს ორსართულიანი კაპიტალური საცხოვრებელი ბინები, სოფელი მთლიანად ელექტროფიცირებულია. ახლა ის არის ჩვენი საზრუნავი, რომ სასოფლელებთან შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი პირნათლად შევასრულოთ. ამას მივაღწევთ კიდეც.

ი. მუმლაძე,
ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

სასოფლელების მაგალითით

ს. ლაშხი,
ასურეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

როდესაც თბილისი დავტოვეთ, თბილი ამინდი იდგა. სასოფლოში ჩასულები კი რუსულმა ზამთარმა ერთიანად შეგვბოჭა. მაგრამ სასოფლელების გულთბილობამ სიცივე დაგვავიწყა. სასტუმროში მოვეწყეთ, გული კი — კოლმეურნეობისაკენ მიგვიწევდა.

ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა კლარა ცეტკინის სახელობის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობამ. აქ ყველა დედაღორი მანამ არ დაიკვლება, სანამ მისგან არ მიიღებენ ახალ თაობას.

შემდეგ ჩვენ მოგვიხდა კოლმეურნეობების ნახვა. აი, ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ვართ. მეღორეობის ფერმაში ჩვენი ყურადღება მიიქცია საჯიშე განყოფილებამ, სადაც აწარმოებენ ნაკლებჯიშიანი ღორების რემონტს, რითაც საბოლოო ანგარიშში იღებენ ჯიშიანებს. ეს მართლაც კარგად გამოუდით. სწორედ ამის შედეგად ისინი ხორცის წარმოებას თვალსაჩინოდ აღიდებენ. განსაკუთრებით დამაინტერესა კოლმეურნეობა „წინსვლის გზამ“, რომელთანაც შეჯიბრებაში ვართ ჩაბმული. ყველაზე საყურადღებო, რაც აქ ვნახე, ეს იყო მეფრინველეობის დიდი ფაბრიკა, სადაც 5000 კვერცხმდებელი ქათამია და თვითეულიდან ყოველწლიურად 160-170 ცალ კვერცხს იღებენ.

დავბრუნდით სასოფლიდან. შთაბეჭდილებები დიდია, გასაკეთებელი ბევრი. ჩვენი პირველი საზრუნავი მეღორეობის ფერმა გახდა. აღირიცხა დაგრილებული დედაღორები, ვაწყობთ საჯიშე განყოფილებას, საიდანაც დავიწყებთ ჯიშიანი ღორების მიღებას აღწარმოებისათვის. ეს უდავოდ დაგვეხმარება მეღორეობის მძლავრად განვითარების საქმეში. ყველა ფერმებში ვქმნით წითელ კუთხეებს.

წელს ვიწყებთ პირუტყვისათვის ახალი სადგომი ბინების მშენებლობას. ყველა ფერმაში შრომატევადი სამუშაოები მექანიზებული იქნება.

კოლმეურნეები დარაზმული არიან ახალი ზღუდეების ასაღებად. უპირველეს ყოვლისა, ფერმებში ვიყოლიებთ 340 სულ ძროხას, და თვითეულიდან მივიღებთ 2.050 ლიტრ რძეს. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ მეღორეობის განვითარებას. ვიყოლიებთ 120 სულ დედაღორს და თვითეული დედაღორიდან მივიღებთ 16 გოჭს. სახელმწიფოს მივყიდით 2.000 ცენტნერ ხორცს, აქედან 280 ცენტნერი უკვე მივყიდეთ.

განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ პირუტყვის საკვები ბაზით უზრუნველყოფას. ამ მიზნით დავთესავთ 300 ჰექტარ სიმინდს, საიდანაც თვითეულ ჰექტარზე მივიღებთ 300 ცენტნერ სასილოსე მასას. სულ ჩავდებთ 66.000 ცენტნერ სილოსს და დავაგროვებთ 12.000 ცენტნერ თივას.

* * *

სურათებზე: ასურეთის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავები ლ. კობაიძე (მარცხნივ) და ე. წიკლაური (ქვემოთ).

თეთრი წყაროს კოლმეურნეობის მწველავმა ნადეჟდა ფედოროვამ შარშან მისთვის მიმაგრებულ ადგილობრივი ჯიშის თვითეულ ძროხაზე მიიღო 1.860 კილოგრამი რძე. სურათზე: ნ. ფედოროვა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

რჩეულნი

ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლობით ორგანოებში დეპუტატებად ისეთ პირებს ირჩევენ, რომლებსაც უნარი შესწევთ ემსახურონ მშრომელთა ინტერესებს, სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებს, რომლებიც პირნათლად ასრულებენ ამომრჩეველთა განაწესს და ხალხის საქმისადმი ერთგული არიან.

დიდი და საპატიო მოვალეობაა ემსახურებოდე კომუნიზმის მშენებლობის კეთილშობილურ საქმეს, ემსახურებოდე ხალხს. საამაყოა იყო ხალხის მოთხოვნათა აღმსრულებელი, ხალხის მსახური. საბჭოთა მოქალაქის დეპუტატად არჩევა იმას ნიშნავს, რომ იგი გარემოსილია ხალხის ნდობით, რომ ის რჩეულია, სახელმწიფო მოღვაწეა. როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, „მხოლოდ არჩეულებს შეუძლიათ ილაპარაკონ სახელმწიფო საკანონმდებლო ენით“. დეპუტატებს არ შეიძლება ჰქონდეთ სხვა ინტერესი და მისწრაფება, თუ არა მშრომელთა ინტერესებისადმი სამსახური, თუ არა მისწრაფება უზრუნველყონ მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობა, შეასრულონ ამომრჩეველთა განაწესი. წინააღმდეგ შემთხვევაში ამომრჩეველს უფლება აქვთ შეისწავლონ დეპუტატის საქმიანობა, მოისმინონ ანგარიში და საჭირო შემთხვევაში ვადამდე უკან გაიწვიონ იგი.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ გასული წლის 30 ოქტომბერს მიიღო კანონი დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ. თანახმად საქართველოს სსრ კონსტიტუციის 155-ე მუხლისა, ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომაც მიიღო ანალოგიური კანონი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ.

როგორია გაწვევის წესი?

კანონი განსაზღვრავს დეპუტატის გაწვევის ორ მიზეზს: როცა დეპუტატი ვერ გაამართლებს ამომრჩეველთა (ხალხის) ნდობას და როცა ისეთ რამეს ჩაიდენს, რაც არ შეეფერება დეპუტატის მაღალ წოდებას. იგულისხმება, რომ დეპუტატის გარდაცვალებისას მისი გაწვევა არ ხდება, იგი მექანიკურად გასულად ითვლება.

დეპუტატის გაწვევის შესახებ საკითხის აღძვრა შეუძლიათ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მშრომელთა საზოგადოებებს. გადაწყვეტილება დეპუტატის გაწვევის საკითხზე მიიღება კრებებზე ღია კენჭისყრით, რაც ეცნობება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. პრეზიდიუმი განიხილავს წარმოდგენილ მასალებს და, თუ დეპუტატის გაწვევის საკითხი აღძრულია დადგენილი წესის სრული შესაბამისობით, ნიშნავს კენჭისყრას დეპუტატის გაწვევის შესახებ. საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც აღძრავენ დეპუტატის გაწვევის საკითხს, ვალდებულნი არიან შეატყობინონ ეს დეპუტატს, მასვე აცნობენ გაწვევის საკითხის დაყენების მოტივებს. დეპუტატს უფლება აქვს დასახელებულ ორგანიზაციებს წარუდგინოს ახსნა-განმარტება ზეპირი ან წერილობითი ფორმით იმ გარემოებათა გამო, რომლებიც საფუძვლად დაედო გაწვევის საკითხის აღძრას.

დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის დროს საარჩევნო ოლქში იქმნება საოლქო კომისია. მის მოვალეობას შეადგენს მეთვალყურეობა გაუწიოს გაწვევის შესახებ კანონის შესრულებას და განსაზღვროს კენჭისყრის შედეგები. კენჭისყრის მომწყობი კომისიის შემადგენლობაში გათვალისწინებულია კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და 4-6 წევრი. კომისიის შემადგენლობა იქმნება საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა საზოგადოებებისა და მშრომელთა საერთო კრებების წარმომადგენელთაგან და მტკიცდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე კი შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტების მიერ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გაწვეულად ითვლება, თუ გაწვევას ხმა მისცა ამ საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა უმრავლესობამ.

ამომრჩეველთა კრებების ოქმებში აღინიშნება კრების დრო და ადგილი. ამომრჩეველთა კრებების ოქმებში აღინიშნება აგრეთვე კრებაზე დამსწრე ამომრჩეველთა რაოდენობა და დეპუტატის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების კრებებზე უკან გაწვევის საკითხის გადაწყვეტა ღია კენჭისყრით მოხდება.

კრებაზე არ ირჩევა ხმის დამთვლელი კომისია. კენჭის საყრელად არ ინიშნება ერთი დღე. ამომრჩეველთა კრების ოქმს ხელს აწერს კრების პრეზიდიუმის ყველა წევრი და სამი დღის განმავლობაში წარედგინება დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობ საოლქო კომისიას. ეს უკანასკნელი შესაბამისი კრებების ოქმების საფუძველზე დაითვლის დეპუტატის როგორც გაწვევის სასარგებლოდ, ისე მის წინააღმდეგ მიცემულ ხმებს და შეაჯამებს გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგებს. რასაც გააფორმებს სათანადო ოქმით და წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

ამომრჩეველს კენჭისყრის დროს კანონის დარღვევის შემთხვევაში შეუძლიათ საჩივარი შეიტანონ კენჭისყრის მომწყობ საოლქო კომისიაში, ხოლო თვით კომისიის უკანონო მოქმედების შესახებ — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ვფიქრობთ, მომავალში საჭირო იქნება შემუშავებულ იქნას ავტონომიური რესპუბლიკების და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების, აგრეთვე სახალხო მოსამართლეების გაწვევის ანალოგიური წესები ამ ორგანოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

კანონი დეპუტატის გაწვევის შესახებ უფრო მეტად უზრუნველყოფს დეპუტატის პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წინაშე. ამიტომ საჭიროა დეპუტატის გაწვევის საკითხის დაყენებისათვის გვქონდეს სერიოზული საფუძველი.

სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში ფართოვდება საბჭოების ფუნქციები. კიდევ უფრო მტკიცდება სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპები. კანონით — დეპუტატის გაწვევის წესების შესახებ — იზრდება დეპუტატების მიმართ ამომრჩეველთა კონტროლის შესაძლებლობა. ამით ერთხელ კიდევ დასტურდება სოციალისტური დემოკრატიის უდავო უპირატესობა ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან შედარებით.

გ. ერემოვი,
ვ. მაისურაძე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატები.

მშენებლობის პოლიგონზე

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხიდების და გვირაბების კათედრას მჭიდრო კავშირი აქვს რესპუბლიკის მთელ რიგ მშენებლობებთან, სადაც კათედრის წევრთა თეორიული ნაშრომები პრაქტიკულ განხორციელებას პოულობენ.

კათედრის და საწარმოების ურთიერთკავშირის დამყარების საქმეში კათედრის მთელ კოლექტივთან ერთად, რომელსაც პროფესორი მ. დანდურავი ხელმძღვანელობს, დიდი ღვაწლი თვით წარმოების მუშაკებსაც მიუძღვით. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ქ. გორში სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს მშენებლობასთან არსებული პოლიგონი, რომლის შექმნაში და საჭირო მანქანებით აღჭურვაში დიდი შრომა გასწიეს როგორც მშენებლებმა, ისე მეცნიერმა მუშაკებმა, განსაკუთრებით კი მშენებლობის უფროსმა ა. ცქიტიშვილმა და დოცენტმა ვ. სლოვინსკიმ.

პოლიგონზე მეცნიერ მუშაკთა და მშენებელთა ერთობლივი გაცხოველებული მუშაობაა ხიდების საუკეთესო კონსტრუქციების შექმნისა და მათი გამოცდის დარგში. ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს დოცენტ ვ. სლოვინსკის კონსტრუქციის ხიდების წინასწარდაძაბული ელემენტების ვიბროგამოცდა. მუშაობაში ჩაბმულია კათედრასთან არსებული ხიდების გამომცდელი სადგური ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ი. ბიუსის ხელმძღვანელობით.

ამ საინტერესო სამუშაოებს მიეძღვნა ამ დღეებში სამშენებლო პოლიგონზე ჩატარებული კათედრის გაფართოებული სხდომა წარმოების მუშაკებთან ერთად.

დოცენტი ა. დაუშვილი.

„ლიტერატურული ძიებანი“

გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული „ლიტერატურული ძიებანი“ (XII ტომი).

კრებული მიძღვნილია სახელოვანი ქართველი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კორნელი კეკელიძისადმი.

ტომში დაბეჭდილია ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა წერილები, რომლებშიც განხილულია ძველი და ახალი ქართული მწერლობის, ლიტერატურის ისტორიისა და ესთეტიკის, ხალხური შემოქმედების საკითხები.

სამეცნიერო სესია

9-10 თებერვალს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში მოეწყო XX სამეცნიერო სესია.

სესიაზე საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები. განხილული იყო ძველი და ახალი ქართული მწერლობის, ლიტერატურის ისტორიის, თეორიის, ესთეტიკისა და ფოლკლორის საკითხები.

„ოტელო“ გათუმის თეატრში

აიხადა ფარდა. დაიწყო მოქმედება. სურათს სურათი მოსდევს... სენატი. სენატორნი ვენეციისა შეკრებილან დიდი სახელმწიფოებრივი საქმის გამო. შემორბის აღშფოთებული ბრაბანციო (მსახიობი ა. მგელაძე) და შესჩივის სენატს თავის „გაქურდვას“, მოითხოვს ოტელოს დასჯას. სენატორნი და მთავარი ვენეციისა (მსახიობი ს. ძიძაძე) ფიცსა სდებენ, რომ ოტელო უმკაცრესად დაისჯება...

და აი დინჯი ნაბიჯით, კეთილშობილი რაინდის თავდაჭერით შემოდის ოტელო— იუსუფ კობალაძე. მას მხოლოდ ბრაბანციომ შეაქცია ზურგი. ეს შეამჩნია ოტელომ. ის დამნაშავე არ არის, მას აქვს უფლება „გარდახდილი ჭირისათვის“ სიყვარულისა და იგი ლანძღვა-გინებას ღიმილით იღებს. და სანამ იაგო დეზდემონას მოიყვანდეს, — ოტელო მოუთხრობს სენატს, თუ რა „თილისმით“ მოიჯადოვა მან დეზდემონა...

ჩვენ გვინახავს ოტელოს როლის შემსრულებელი ისეთი დიდოსტატები, როგორიც ალ. ამედაშვილი იყო, როგორიც არიან ვაჟარამ ფაფაზიანი, აკაკი ხორავა და ვახტანგ ჭაბუკიანი. მაგრამ ი. კობალაძის თამაშმაც დატოვა სიახლისა და ორიგინალობის შთაბეჭდილება. იუსუფ კობალაძე ოტელოს ცნობილ მონოლოგში კი არ ლაპარაკობს, არამედ აზროვნებს, აზრით ხედავს მთელ თავის ცხოვრებას და სენატს კი არ უყვება, თითქოს თავის თავს ამოწმებს, ჭეშდა თუ არა მას უფლება დეზდემონას სიყვარულისა, დაიმსახურა თუ არა ეს!..

იაგოს შემოჰყავს დეზდემონა (მსახიობი ნ. საკანდელიძე). რა ლამაზია ეს წმინდა სიყვარულის ხატება. ოტელოს მონოლოგი რომ არ მოგვესმინა, ვიტყოდით, ეს გოგონა რამ გაბრიყვა-თქო. მაგრამ არა, ოტელო-კობალაძე ღირსია ასეთი ჯილდოსი. დეზდემონა-საკანდელიძე მამის მოსაყვარული და პატივისმცემელია, მაგრამ ახლა იგი მხოლოდ ოტელოს ეკუთვნის.

ბედნიერი და კმაყოფილია ოტელო, ბედნიერია დეზდემონა. მათი ღიმილი არ გვეუცხოება, მაგრამ რათ იღიმება იაგო-მურად ხანდახან? ცნობილია, რომ იაგო მზაკვარია. ხინიკაძის იაგოს ღიმილს კი მზაკვრობა არ ეტყობა. ნუთუ ეს სხვა იაგოა?! შემდეგ სურათში, იაგო უკვე ამეღვიძებს თავის სიძულვილს ოტელოს მიმართ, მაგრამ საოცარი ოსტატობით ინარჩუნებს ხინიკაძე-იაგო ღიმილის ნიღაბს. ახლებურად გაუხსნიათ სახე რეჟისორ ტაბლიაშვილსა და მსახიობ ხინიკაძეს.

მაყურებელს ჩვეულებრივ სჯეროდა იაგოს გაიძვერობა, მაგრამ არა სჯეროდა ერთი რამ — რატომ უჯერიან ოტელო ან კასიო მას?! ოტელო ზედმეტად გულუბრყვილოდაც გვეჩვენებოდა, რომ ვერ ამჩნევდა იაგოს გაიძვერობას და პატიოსან კაცსაც კი ეძახდა... „პატიოსანი“ და „ერთგული“ უნდა იყოს იაგო, რომ დაუჯეროს ისეთმა ეჭვიანმა კაცმა, როგორიც ოტელოა... ხინიკაძის იაგო მართალ საქმეს არ აკეთებს, მაგრამ მას სჯერა თავისი „სიმართლისა“. ის პატიოსან კაცად შენიღბული, ღიმილის ნიღაბი აუკრავს სახეზე...

ოტელო-კობალაძე ეჭვიანია არა მარტო სიყვარულში, არამედ საერთოდ. ოტელომ იცის, რომ შაავიდა და „თეთრუბს“ მხოლოდ ბრძოლებში სჭირდებათ. „მავრი მორრება თავის საქმეს და მავრი წავა...“ ეს იცის იაგო-ხინიკაძემ და ყველანაირად ცდილობს პატიოსანი კაცის ნიღაბი ატაროს. ამიტომ აჯერებს ოტელოს, და ხშირად თავის მიმართ მტრულად განწყობილ მაყურებელსაც. ასეთ იაგოს შეეძლო ოტელო მოეტყუებინა.

ოტელო-კობალაძე მართალი და ულმობელია, ვით ხმალი მებრძოლისა, როგორიც სამართლიანი საქმისათვის ამზადრებულა. ოტელო ბავშვია სიყვარულში და მძვინვარეა სიძულვილში. კობალაძის ოტელო თანაბარი სიძლიერისაა, როგორც ლირიკულ დიალოგებში (დეზდემონასთან ალერსი), ისე ეჭვიანობის სცენაშიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმელთა სპექტაკლში გონწყასულ ოტელოს იაგო მკერდზე ფეხს კი არ ადგამს (ამ ბოლოს ტრაფარეტად რომ იქცა), არა, იაგო-ხინიკაძე ფრთხილად მიდის დაცემულ ოტელოსთან და თავზე ხელს გადაუსვამს, თითქოს ეალერსება კიდეც თავის ხიფანგში გაბმულ მსხვერპლს. ოტელო-კობალაძე თანაბარი სიძლიერით აბარებს მთელ სპექტაკლს, თუმცა ზოგან, განსაკუთრებით მესამე მოქმედებაში, მსახიობი წონასწორობას კარგავს, ისტერიული ხდება, რაც საჭირო არ არის. სცენაზე თვით უდიდესი განცდისას დიდი არტისტული გულცივობაა საჭირო, რომ გონიერებას გრძნობიერებამ არა სძლიოს. ჭეშმარიტი არტისტი ის კი არ არის, ვინც ნამდვილად ტირის, არამედ ვინც აზრიანი მოქმედებით აიტირებს მსმენელს, მაყურებელს. ამ მხრივ იუსუფ კობალაძემ უნდა შეაპოწმოს თავისი თავი. იაგო-ხინიკაძეც ზოგან მეტად თავშეკავებულია და გარემოდან გამოთიშული გვეჩვენება.

დეზდემონა-ნ. საკანდელიძე მეტად მიმზიდველია და უფრო ძლიერი ჩანს პირველ და მეორე მოქმედებაში. შემდეგ ის უმანკო მსხვეპლს თამაშობს. სასურველი კი იყო მასაც აემაღლებინა ხმა, გამოეთქვა პროტესტი: „სიყვარულისათვის უნდა მოკვდე, უნდა დაიხაოო?!“

მსახიობი ნუნუ თეთრაძე გვახარებს თავისი ემილიათი. ის ქმრის გულს მომგები და დეზდემონას ერთგული ქალია. თუმცა ეს სახე ცოტათი დაზარალდა ფინალურ სცენაში.

კასიოს როლის შემსრულებელი მსახიობი გ. გოგიბერიძე შესანიშნავი გარეგნობისა და ხმის პატრონია, თუმცა ამ როლში ის ოპერეტის მონაწილე ლამაზ ახალგაზრდას უფრო ჰგავს, ვიდრე მებრძოლ ოფიცერს.

კარგია მასობრივი სცენები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგან დარღვეულია სცენური დისციპლინა. ზოგჯერ მეტს მოძრაობენ და უადგილოდ ჩურჩულებენ, ან იცინიან.

მხატვარ ასკურავას კარგ ნამუშევარს ჩრდილს აყენებს ცუდი განათება. აჭარის კულტურის სამინისტრომ ამ მხრივ დახმარება უნდა აღმოუჩინოს თეატრს.

„ოტელოს“ დადგმით თავი ისახელა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრმა რეჟისორ ვახტანგ ტაბლიაშვილის ხელმძღვანელობით. მივიღეთ შექსპირის ოტელო ახლად წაკითხული და გაგაზრებული...

გრ. ბერძენიშვილი.

* * *

სურათზე: სცენა მეორე მოქმედებიდან — მ. ხინიკაძე (იაგო) და ი. კობალაძე (ოტელო).

ყველას ხურს შეისწავლოს...

ყოველ თვეში ერთხელ კვირა-დღეს თბილისის ოფიცერთა სახლის დიდ დარბაზში მრავალი მსმენელი იკრიბება. ესენი არიან ორწლიანი კულტურის უნივერსიტეტის მსმენელები — ოფიცრები, სერჟანტები, მათი ოჯახის წევრები. ზოგი სახვითს ხელოვნებას სწავლობს, ზოგი ლიტერატურას. ყველაზე მეტი მსმენელი კი მაინც მუსიკის ფაკულტეტს ჰყავს.

თბილისის ვ. ხარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტი ე. ძიძაძე ამ ფაკულტეტის დეკანია. იგი ატარებს მეცადინეობას უნივერსიტეტის საბჭოს მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით. ლექციის მსვლელობის დროს ყოველ თეორიულ აზრს თან ახლავს მუსიკალური გაფორმება მსმენელთა წინაშე გამოდიან კონსერვატორიის პედაგოგები.

მუსიკისადმი დიდ ინტერესს იჩენენ მუშა ახალგაზრდობის კულტურის უნივერსიტეტის მსმენელები კონსერვატორიის მცირე დარბაზში თვეში ერთხელ პარასკევობით სამუშაოს დამთავრების შემდეგ მოდიან მუსიკის ფაკულტეტის სტუდენტები. მათთვის წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით იკითხება ლექციები, აგრეთვე ემართება კონცერტები კონსერვატორიის სტუდენტთა შემსრულებელთა მონაწილეობით.

კონსერვატორიის პედაგოგიური კოლექტივი დიდ დახმარებას უწევს აგრეთვე თბილისის საწარმო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებს, რაიონების მუსიკალური სკოლების მოსწავლეებს, თვითმოქმედ მუსიკალურ გუნდებს.

ლ. ხუბულური.

45 წელი სცენაზე

გასული საუკუნის მიწურულს ცნობილმა გერმანელმა მეგაღემ ტელიაფუსმა თავის ბაღში, ხაშურში მდ. სურამულას ნაპირზე მოაწყო ორიგინალური „როტონდა“ (ნახევრადდახურული ესტრადა). სწორედ ამ ესტრადაზე პირველად ნახა ხაშურის დრამატული წრის წარმოდგენები დუდე ძნელაძემ და სულით და გულით შეიყვარა თეატრი.

თბილისში დუდე ძნელაძე გაეცნო ქართულ პროფესიულ თეატრს და მის გამოჩენილ მესვეურებს: ვასო აბაშიძეს, ვალერიან გუნიას, ტასო აბაშიძეს, კოტე მათიროშვილს, ალექსანდრე კარგარეთელს და სხვებს. 1908-1909 წლებში მოსკოვში სამხატვრო, მცირე და სხვა თეატრების დადგმებთან ერთად ახალგაზრდა შემოქმედმა ნახა ბლიუმენტალ-ტამარინის ოპერეტის თეატრის წარმოდგენები და აღიარო ოცნებონი, რომ საქართველოშიც ოდესმე ყოფილიყო ისეთი თეატრი, სადაც მუსიკა, კომედია და ქორეოგრაფიული ხელოვნება ერთმანეთთან იქნებოდა შერწყმული.

ხცენა სპექტაკლიდან „კომუნა ველზე“. მსახიობები თამარ ჭავჭავაძე და დუდე ძნელაძე.

პროფესიულ თეატრში დუდეს გზა გადაუკვეთეს მ. ქორელმა და შ. დადიანმა. 1914 წელს დაიწყა ქართული თეატრის შენობა. დედაქალაქში ქართული წარმოდგენები შეწყდა. მსახიობები პროვინციებში გაიფანტნენ, ზოგი გასტროლიორად. ზოგი კი მუდმივ სამუშაოზე. ხაშურს ეწვია რეჟისორი მ. ქორელი ნუცა ხხეიძის გასტროლების ჩასატარებლად, და დ. ძნელაძეც ნუცას პარტნიორად იქნა გამოყვანილი პიესებში „უბედურ ნაბიჯსა“ და „მედეაში“. შემდეგ შალვა დადიანი ეწვია ხაშურს და დუდემ მისი ყურადღებაც დაიმსახურა.

დუდე ძნელაძე არ დაკმაყოფილდა სამსახიობო წარმატებებით. ორი რამ, როგორც საოცნებო მიზანი და დანიშნულება, ყოველთვის აწუხებდა: რეჟისორული მუშაობა, და მეორე, უფრო ძნელად განსახორციელებელი — ახალი თეატრის შექმნა.

ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ. კ. მარჯანიშვილის მიერ „ცხვრის წყაროს“ დადგმის შემდეგ, სულ რაღაც ორიოდე წლის განმავლობაში გაჩნდა და აღორძინდა სპეციფიკური და ჟანრობრივად განსხვავებული სპექტრები. ჟანრობრივი თეატრების უჩვეულოდ აღორძინების პირობებში, ბუნებრივია, წამოიჭრა სრულიად ახალი სახის — მუსიკალური კომედიის თეატრის შექმნის საკითხიც.

ეს მოხდა 1927 წელს. მ. ჭიაურელმა დ. ძნელაძეს „მუშკოოპის“ თვითმოქმედი წრის ხელმძღვანელობა და ამ წრის ძალებით მუსიკალურ-იუმორისტული სპექტაკლების დადგმა შესთავაზა.

პირველი დადგმების კომპოზიტორობა წილად ხვდა მ. ცაგარეიშვილს, დრამატურგობა შალვა დადიანსა და თაგუნას (შ. შარაშიძეს). ამ დრამატული წრის ოფიციალური სახელი გახლდათ „კოოპთეატრი“.

კოლექტივის პირველი წარმატებები იმდენად დიდი იყო, რომ 1932 წელს ჯერ ხუთი წლის იუბილე გადაუხადეს, შემდეგ კი ქ. მოსკოვში გაგზავნეს თვითმოქმედი ხელოვნების ოლიმპიადაზე, სადაც თეატრმა ორ კონკურსში გაიმარ[illegible] შემდეგ თეატრმა მუშაობა განაგრძო ბულეტთა სახლის კლუბში. აქ მ. ქ[illegible] რელმა და დუდე ძნელაძემ დადგ[illegible] ფაშალიშვილის „თავი სიხმარში მგო[illegible] რ. ქორქიას „საყოლმეურნეო ბაზრ[illegible] „აურიე კესარია“ და „კიკო“, გ. ბ[illegible] კაშვილის „ცრუ დამკვრელი“, ა. მ[illegible] ლარიას „მფრინავაძე“, გ. ისნელი[illegible] „ნაბუცარა“.

თეატრი პოპულარული გახდა დ[illegible] ეწოდა „მუსიკალური სატირის მო[illegible] თეატრი“. დუდე ძნელაძე დაინიშ[illegible] თეატრის დირექტორად და რეჟისო[illegible] თეატრმა ამ სახელით ერთ წელ[illegible] იმუშავა. 1935-36 წლის სეზონში კ[illegible] ოფიციალურად ეწოდა: „მუსიკალ[illegible] კომედიის თეატრი“.

ამ თეატრში ხანგრძლივი, ნაყოფ[illegible] მუშაობისათვის დ. ძნელაძეს 1943 [illegible] მიენიჭა ხელოვნების დამსახურე[illegible] მოღვაწის წოდება. ამაგდარი მსახ[illegible] დაჯილდოებულია ორდენებით, მედ[illegible] თა და სპატიო სიგელებით.

დუდე ძნელაძეს ქართული თეა[illegible] სცენაზე შეესრულებია 110-ზე [illegible] სხვადასხვა ხასიათის როლი. დადგ[illegible] აქვს 30-ზე მეტი პიესა. მონაწილ[illegible] მიუღია კინოდადგმებში: „იბრაგ[illegible] გოდერძი“ (გოდერძი), „ჯანყი გურ[illegible] (გიორგი), „ღრუბლების თავშესაფ[illegible] (ჯუმრული), „საკანი № 79“ (დ[illegible] და სხვ.

მიუხედავად ხანდაზმულობისა და [illegible] სიაზე გასვლისა, დუდე ძნელაძე [illegible] საყვარელ საქმეს მაინც არ შორ[illegible] ამაგდარი ხელოვანი ნაყოფიერ მ[illegible] ბას ეწევა საქართველოს თეატრა[illegible] საზოგადოებაში, როგორც გამგე[illegible] და პრეზიდიუმის წევრი.

დუდე ძნელაძე.

* * *

სიმონ მთვარაძ[illegible]

...რომ გემოვნებით იცვამდნენ

ერთი უნივერსიტეტდამთავრებული ქალიშვილი, რომელიც უმაღლესში სწავლამდე სოფლად ცხოვრობდა, საგაზეთო წერილს ამზადებდა. წერილში ერთ ადგილზე წერდა: „ჯარასავით ტრიალებდაო“. როცა კითხეს, თუ იცი, რა არის ჯარაო? გაიკვირვა, როგორ არ ვიციო და არც კი დაფიქრებულა, ისე წამოიძახა: ჯარა წისქვილში იხმარებაო. მას ეჭვი არ შეპარვია თავის ცოდნაში. გაოცდა, როცა გაიგო, რომ ჯარას თურმე დასაფქვავად კი არა, ნართის დასახვევად ხმარობდნენ.

მხოლოდ ენასა შემორჩა სიტყვა ჯარა, ცხოვრებიდან კი დიდიხანია გაქრა.

ჯარისა და ქსელის ადგილი, რომელსაც შინაური საჭიროებისა და საკაბეების საქსოვად იყენებდნენ ძველ საქართველოში, რესპუბლიკის განვითარებულმა მრავალდარგოვანმა საფეიქრო მრეწველობამ დაიკავა.

გვქონდა მატყლი და უცხოეთიდან კი შემოგვქონდა შალის ქსოვილები. გვქონდა აბრეშუმის პარკი და შორეული ქვეყნებიდან ვეზიდებოდით ფარჩასა და ატლასს. ბაზაზები ხმის ჩახლჩამდე აქებდნენ პოლონურ ფარაფანს, ინგლისურ მაუდს.

ახლა ქართველები გორულ ატამთან ერთად თავს იწონებენ გორული ჩითითა და მატკლით, ქუთაისლები — აბრეშუმითა და ძაუდით, ცხაკაიელები — ხალიჩითა და ფიანდაზით, თბილისელები კი... ოო, თბილისელებზე ნუღარ იტყვით! დედაქალაქის ფეიქრები თავს იწონებენ განა მარტო ნატურალური, არა, ხელოვნური აბრეშუმითაც; განა მარტო სპალტოე მაუდით, არა, საკოსტიუმე და საკაბე შალეულითაც, განა მარტო კოტონის წინდით, არა, ტრიკოტაჟითაც!

შარშან ერთი ამხანაგი ჩეხოსლოვაკიაში ტურისტული მოგზაურობიდან დაბრუნდა — კარგი საკოსტიუმე მინდოდა იქ ყოფნის სამახსოვროდ წამომეღოო, — ყვებოდა იგი, — პრაღის მაღაზიაში შევედი. გამყიდველს ვთხოვე შერჩევაში დამხმარებოდა. მან არ იცოდა საიდან ვიყავი და მირჩია, ორიოდე დღის შემდეგ შემოიარეთ და ჩვენ თბილისური „კოლხიდა“ გვექნება, ახლა ჩვენთან ეს ყველაზე საუკეთესო საკოსტიუმედ ითვლება. წარმოგიდგენიათ, ჩემი სიამაყე და სიხარული, რომ საქართველოდან შორს, ქსოვილებით განთქმულ მხარეში მშობლიური საქონელი მიქეს! რაღა აქ ვუცადო, ჩავალ და იქ ვიყიდი-მეთქი.

ახლა საქართველოს მრავალ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში მუშაობენ საფეიქრო საწარმოები. განსაკუთრებით ბევრია ძაფსაღებ-სახვევი ფაბრიკები. ყველა საწარმო შესანიშნავი მანქანებითა და მოწყობილობით, ახალი ტექნიკით არის აღჭურვილი. მაგრამ ეს არავის აკმაყოფილებს, ახალ შვიდწლედში წარმატაცი პერსპექტივებია გადაშლილი რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის წინაშე, არსებულ ფაბრიკებს მალე მხარს დაუმშვენებენ ახალი საწარმოო სიმძლავრეები, რომლებიც უახლოეს წლებში ჩადგებიან მწყობრში.

მაინც რა იქნება ახალი შვიდწლედის მეორე წელს, რა პერსპექტივებია დასახული შვიდწლიანი გეგმით?

თბილისში დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყო აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მშენებლობა, ორასი უახლესი ავტომატური საქსოვი დაზგა იმუშავებს მის ნთელ საამქროებში. წელს მან უკვე უნდა მოგვცეს პირველი ნაწარმი. ეს იქნება ჟაკარდული აბრეშუმი. საერთოდ, საფეიქრო მრეწველობის ეს დარგი — ჟაკარდული წარმოება — ახალია ჩვენი რესპუბლიკისათვის, იგი გამოუშვებს სქელ, ლამაზ ქსოვილებს — საკაბეებად, ოთახების მოსართავად — კარფანჯრის ფარდებად, ავეჯის გადასაკრავად და სხვა დეკორაციული საჭიროებისათვის. ყოველწლიურად თითქმის ორ მილიონამდე მეტრ ხელოვნური და სინთეტური აბრეშუმის მუარს, კრეპკლოკეს და სხვა ქსოვილს მიაწოდებს ჩვენს ქვეყანას ეს ფაბრიკა.

ხელოვნური და ბუნებრივი აბრეშუმისაგან ხაოიანი ქსოვილების — პლუშის მისაღებად ცხაკაიაში იგება ახალი ფაბრიკა, სადაც 160 დაზგა დაიდგმება.

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ხდება დამატებით ერთი სართულის დაშენება, იქ გადავა ფაბრიკის ადმინისტრაცია თავისი განყოფილებებით, ხოლო მის მიერ განთავისუფლებულ ადგილს საწარმოო ფართობად გამოიყენებენ, გამართავენ კიდევ 200-მდე საქსოვ დაზგას. ფაბრიკაში გაიხსნება ერთი ახალი საამქრო, რომელიც განკუთვნილი იქნება მხოლოდ აბრეშუმის ცალობითი ნაწარმის დასამზადებლად. გამოუშვებენ ქალის ლამაზ, წარსახოვან თავსფრებს, შარფებს, ცხვირსახოცებს. თბილისელთა ეს ნახელავი ხომ ბრიუსელის საერთაშორისო გამოფენაზეც იყო ექსპონირებული.

არა მარტო საქართველოში, რამედ მთელ ამერკავკასიაში აბრეშუმის მრეწველობის ყველაზე დიდი საწარმოა ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი. მომავალში იგი კიდევ უფრო გაიზრდება, იგება ახალი გამომყვანი ფაბრიკა.

ამჟამად სამტრედიაში, თელავში, მახარაძეში და წულუკიძეში მუშაობენ აბრეშუმის ძაფსაღებ-სახვევი ფაბრიკები. ხორცელდება მათი რეკონსტრუქცია, არსებული მოწყობილობა შეიცვლება აბრეშუმსახვევი ავტომატებით, ზოგერთ მათგანში კი — სამტრედიისა და თელავის ფაბრიკებში საქსოვი დაზგებიც დაიდგმება და დაიწყებენ ქსოვილების გამოშვებას.

ცნობილია, რომ ჯერ მთლიანად არ არის დამთავრებული გორის ბამბეულის კომბინატი. შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მისი მეორე რიგის მშენებლობა, რომელიც 1960 წლისათვის უნდა მოთავდეს, დამატებით იმუშავდება 80 ათასი თითისტარი. მთი საერთო რაოდენობა კომბინატის მთელი სიმძლავრით მუშაობის დროს აყვანილ იქნება 160 ათასამდე. გორელი ფეიქრები წლიურად 20 მილიონ მეტრ ბამბეულის ნაწარმს — გაუმჯობესებული ხარისხის მოხატულ ჩითებსა და გობელინურ ქსოვილებს მიაწოდებენ ჩვენი ქვეყნის მშრომელებს.

თბილისის ახლანდელი მაუდ-კამვოლის კომბინატი „საბჭოთა საქართველო“ ორიოდე წლის წინათ ფაბრიკა იყო, დიდი სამუშაოების შემდეგ, რომელიც აქ განხორციელდა, იგი კომბინატად იქცა. მაგრამ ამით როდი ამოიწურება მისი შემდგომი გაფართოება. დაზგების პარკი შეივსება ახალი საქსოვი და საბერტ

იგორ ვასილის ძე კურჩატოვის დაკრძალვა

9 თებერვალს მოსკოვის მშრომელები უკანასკნელად გამოეთხოვნენ აკადემიკოს იგორ ვასილის-ძე კურჩატოვს, ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ მეცნიერ-ფიზიკოსს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს.

ნაშუადღევის 2 საათზე შეწყდა შესვლა კავშირების სახლში, სადაც იყო განსვენებულის ნეშტიანი urna. სამგლოვიარო პროცესია მიემართება წითელ მოედანზე. იქ შეიკრიბა დედაქალაქის ათასობით მშრომელი.

ნაშუადღევის სამი საათია. მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. თ. ზასიადკო, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კურჩატოვის დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები.

მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ნ. ი. ბობროვნიკოვი ხსნის სამგლოვიარო მიტინგს, რომელიც ეძღვნება აკადემიკოს იგორ ვასილის-ძე კურჩატოვის ხსოვნას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დ. თ. უსტინოვმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისაგან — აკადემიის პრეზიდენტმა ა. ნ. ნესმეიანოვმა, მოსკოვის მშრომელთაგან — პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ე. კ. რაგოზინმა. მათ აკადემიკოსი ი. ვ. კურჩატოვი დაახასიათეს, როგორც ჩვენი დროის უაღრესად გამოჩენილი მეცნიერი-ფიზიკოსი, რომელიც მუშაობდა კაცობრიობის საკეთილდღეოდ ატომური ენერგიის გამოყენების გრანდიოზული ამოცანების გადაჭრაზე, აღნიშნეს მისი დიდი სახელმწიფო მოღვაწეობა.

სამგლოვიარო მიტინგი დამთავრდა. განსვენებულის ნეშტიანი urna გადაიტანეს კრემლის კედელში და არტილერიის სალუტის გრიალში მოათავსეს ნიშში. ნიში დახურეს შავი მარმარილოს ფილით, რომელსაც ოქროს ასოებით აწერია:

იგორ ვასილის-ძე
კურჩატოვი

19 12/1 03 19 7/2 60

დიდებულად ეღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

მოკლე ხნის პაუზა. და აი მავზოლეუმის წინ მტკიცე ნაბიჯით გაიარეს ჯარის ქვეგანყოფებმა და უკანასკნელად პატივი სცეს ი. ვ. კურჩატოვს.

(საკდესი).



ყოველი მხრიდან

⊙ მაროკოს კომუნისტური პარტიის აკრძალვა. ⊙ ნასერის ინტერვიუ. ⊙ არჩევნები ბირმაში. ⊙ ამერიკის მეცნიერთა ჯგუფის დეპეშა სახელმწიფო მდივან ჰერტერისადმი.

საგჭოთა დელეგაცია ამერიკაში

დენვერი, 10 თებერვალი. (საკდესი). გუშინ საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეების ჯგუფი დ. ს. პოლიანსკის მეთაურობით ილინოისის შტატის დედაქალაქ სპრინგფილდიდან გაფრინდა ქალაქ დენვერს.

აეროდრომზე საბჭოთა სტუმრები გააცილეს ილინოისის გუბერნატორმა სტრატონმა, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. გუბერნატორი სტრატონი გულთბილად გამოეთხოვა საბჭოთა დელეგაციის წევრებს და გადასცა დ. ს. პოლიანსკის ტრადიციული საჩუქარი — ჯოვბოილ ქუდი. საბჭოთა სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს გამცილებლებს გულთბილი მიღებისათვის, სთხოვეს მათ მხურვალე სალამი გადასცენ ილინოისის მცხოვრებლებს.

ორაოდენ საათში დენვერში ჩასულისთანავე საბჭოთა სტუმრებმა დაათვალიერეს რამდენიმე სამრეწველო საწარმო. შემდეგ კოლორადოს შტატის გუბერნატორმა ს. მაკნიკოლსმა საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეების პატივაცემად გამართა დიდი დარბაზობა, რომელშიც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საღამოს საბჭოთა სტუმრები იყვნენ ადგილობრივი სიმფონიური ორკესტრის კონცერტზე.

ამერიკელი ხალხის შეშფოთება

ვაშინგტონი, 9 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი გ. შიშკინი იუწყება: ამერიკის საზოგადოებრიობის ფართო წრეები დიდად შეშფოთა ამერიკის მთავრობის პოზიციამ განიარაღების საკითხში.

ასახავს რა ამერიკელი ხალხის მზარდ კეთილგანწყობილებას, რომ შეერთებულმა შტატებმა კონსტრუქციული წვლილი შეიტანონ განიარაღების პრობლემის გადაჭრაში, ამერიკელ სენატორთა ჯგუფმა გუშინ კონგრესის ტრიბუნიდან გააკრიტიკა შეერთებული შტატების მთავრობის ილინოისი ამ საკითხში. სენატორებმა აღნიშნეს, რომ ისეთ პირობებში, როცა საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან შეიტანა წინადადება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, შეერთებული შტატების ელჩმა შეიძლება მთელმა მსოფლიომ ოლოდ ისე ახსნას, რომ მათ არ სურთ დაჭრონ ეს პრობლემა, რომელსაც საცოცხლო მნიშვნელობა აქვს მთელი ცივილიზაციისათვის.

სენატორმა გრიფინგმა მკვეთრად დაგმო ამერიკის მთავრობა იმის გამო, რომ კონსტრუქციულად არ გამოეხმაურა საბჭოთა კავშირის წინადადებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. სენატორმა თქვა, ამაოდ ველოდით გამოხმაურებასო და ხაზგასმით აღნიშნა: „რუსეთის გაბედული წინადადების პასუხად, რომელიც მთელს მსოფლიოში გავრცელდა, ჩვენი მთავრობა ესენი დუმდა და სრულიად ნეგატიური პოზიცია დიაკავა ამ წინადადების მართ“. ამით, განაგრძო გრიფინგმა, ევრ სახელმწიფოს „შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ჩვენ არ გვსურს ვიაროთ მიმართულებით. ამან როდი შეუწყო ელი იმას, რომ მათი თანაგრძნობა და ერდაჭერა მოგვეპოვებინა“.

როცა სენატორმა ჰორმა სცადა საქმე დაესახა, რომ საბჭოთა წინადადებათ თითქოს გარეგნულად კარგი იყოს, რამ თითქოს არ ითვალისწინებდნენ ტროლის საკმარის სისტემას, სენატორმა კლარკმა. თუმცა არ დაუმალავს ისი ანტიპათია საბჭოთა კავშირის მი-ით, მაგრამ საპატიოდ ცნო უარეყოფ-რის მტკიცებანი. „თუ პატივცემული ატორი, — განაცხადა მან, — კვლავ ითხოვს ხრუშჩოვის სიტყვას, დარნდება, რომ, როგორც ხრუშჩოვმა აცხადა, სრული და საყოველთაო გარაღების მისი გეგმის განხორციელებ-დასჭირდება დაახლოებით ოთხი წე-და რომ განიარაღების სამი სტადიი-თითოეულის დროს დაწესდება კოროლისა და ინსპექციის საჭირო სის-ა. ვწუხვარ, რომ შეერთებული შტა-ების პრესამ არ გამოაქვეყნა ცნობა. მ საბჭოთა გეგმა ნამდვილად მოიგვს კონტროლის დაწესებას განიარაის ორ მეხუთედ სტადიაში. ხრუშჩონამდვილად წამოაყენა წინადადება თი კონტროლის დაწესების შესახებ რთიანებული ერების ორგანიზაციაში ოსვლის დროს და გაიმეორა და დაატა განიარაღების გეგმის ეს ასპექტი თავის დასკვნის პრეს-კონფერენციაზე შეერთებულ შტატებში 27 სექტემბერს“.

— ხრუშჩოვმა განაცხადა, — განაგრძო კლარკმა, — რომ თუ ჩვენი ტერმინოლოგიით თავისუფალი საბჭაროს, ან, როგორც იგი ამბობს, კაპიტალისტური საბჭაროს სახელმწიფოებს არ სურთ ანგარიში გაგვიწიონ სრული და საყოველთაო განიარაღების საკითხში, მაშინ მზად ვიქნები ნაკლებად მიმიზიდველი შუალედური ღონისძიებანი განვახორციელო.

სენატორმა მორზემ გადაჭრით დაგმო ამერიკის მთავრობის ნეგატიური პოზიცია განიარაღების საკითხში და განაცხადა: „ჩემი აზრით, მეტად სამწუხაროა, რომ სწორედ ხრუშჩოვი გამოვიდა გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში განიარაღების საკითხზე. მე მიმაჩნია, რომ პრეზიდენტს დიდი ხნის წინათ უნდა გაეკეთებინა იგივე. ჩვენ მშვიდობიანი შეტევის დიდი შესაძლებლობა გავუშვით ხელიდან. მე მიმაჩნია, რომ ჩვენ ხელმძღვანელი როლი უნდა დავიკავოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რისთვისაც უნდა შევიტანოთ რეზოლუცია წინადადებით — მოწვეულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია, რომელზეც თითოეულმა ქვეყანამ მთელი მსოფლიოს გასაგონად უნდა წარადგინოს მშვიდობის უზრუნველყოფის საკუთარი პროგრამა“.

შეერთებულმა შტატებმა, ხაზი გაუსვა სენატორმა, უნდა აწარმოონ „მშვიდობიანი შეტევა“, უარი თქვან ისეთი პოზიციაზე, „როცა ჩვენ ბრალად გვდებენ, რომ საომარ შეტევას ვეწევით“.

სენატში სერიოზულად გააკრიტიკეს ავრეთვე ამერიკის მთავრობის განზრახვა გადასცეს თავის მოკავშირეებს ატომური იარაღი, რის ცნობაც გამოქვეყნდა ამერიკის პრესაში. სენატორმა მონრონიმ ხაზი გაუსვა, კერძოდ, რომ „ასეთი პოლიტიკა საშიშია“. „შეერთებულმა შტატებმა, — თქვა მან, — არ უნდა გააძლიერონ საფრთხე, რომელიც დაკავშირებულია იმ სახელმწიფოთა რიცხვის გადიდებასთან, რომელთაც აქვთ ატომური იარაღი ან იციან მისი წარმოება“.

მომხმარებელო, შენთვის

ცენტრალური თბილუნივერმაღი ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო ობიექტია დედაქალაქში. აქ მოწყობილია 200-ზე მეტი სექცია და კიოსკი. 250 გამყიდველი ეძღვნება მომხმარებელს. ბევრი მათგანი საუკეთესოდ მუშაობს და მოსახლეობის მადლობას იმსახურებს.

ცენტრალური თბილუნივერმაღის კოლექტივმა მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრა გასული წელი. მან საქონელბრუნვის წლიური დავალება შესრულა 102,8 პროცენტით. მომხმარებელს მიეყიდა 7 მილიონი მანეთით მეტი საქონელი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. მეოთხე კვარტალში 41 მოწინავე სექციას და კიოსკს მაღალი მაჩვენებლებისა და მომხმარებელთა საუკეთესო მომსახურებისათვის გადაეცა ვიმპელები. თბილუნივერმაღის კოლექტივი გასული წლის მეოთხე კვარტალის მუშაობის მიხედვით ზედიზედ მეათედ იღებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და საქართველოს ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას და პირველ ფულად პრემიას.

აღსანიშნავია საჩუქრების ახალგაზრდული სექციის კარგი მუშაობა. მან დავალება 123,6 პროცენტით შეასრულა. სექციის მუშაკებმა თამარ გუგავამ, ნორა ზაგაშვილმა, ლილი ბაკურაძემ, ტატიანა სვანიძემ, ნანული ნადირაძემ, დონარა ქარქოსაშვილმა და სხვებმა საქონლის კარგი გაწყობით, კულტურული მომსახურებითა და ახალი მეთოდების დანერგვით, საქონლის ფართო ჩვენებით მომხმარებლის მოწონება დაიმახსოვრეს.

ამ წარმატებებს უნივერმაღის კოლექტივმა მიაღწია ვაჭრობის ახალი მეთოდების დანერგვით, შრომის ნაყოფიერების ამაღლებით, ხამუშაო ადგილის მაქსიმალური გამოყენებით, მომხმარებელთა კულტურული მომსახურებით.

9 თებერვალს ცენტრალური უნივერმაღის კლუბში მუშა-მოსამსახურეები შეიკრიბნენ. მათ შვიდწლედის მეორე წლისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად იკისრეს ახალი ვალდებულებანი. ისინი კისრულობენ ვადაზე ადრე შეასრულონ 1960 წლის საქონელბრუნვის დავალება, ერთი პროცენტით აამაღლონ მუშაკთა შრომის ნაყოფიერება, მონაწილეობა მიიღონ საგაზაფხულო, საზაფხულო და საშემოდგომო ბაზრობებში: საწარმოო კომბინატის კოლექტივმა დამატებით აითვისოს 10 სახის ახალი პროდუქცია, მომწოდებლებსა და მომხმარებლებთან ერთად მოაწყონ სამი კონფერენცია, საუკეთესო მომსახურების ბრიგადების რიცხვი აიყვანონ 50 პროცენტამდე, გააუმჯობესონ სარეკლამო და სავიტრინო მეურნეობა, კვალიფიკაციის ამაღლებელ კურსებზე მოამზადონ 25 კაცი, დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებში, მოაწყონ 10, სავაჭრო ტექნიკუმებში — 12, სავაჭრო კულინარიულ სკოლაში — 6 ახალგაზრდა.

ჩამოაყალიბონ ინგლისური ენის შემსწავლელი წრე, ვაჭრობაში 85 პროცენტით დანერგონ ქალთა შრომა, მომხმარებელთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისა და ახალი მეთოდების დანერგვის მიზნით მეორე სართულზე გაიხსნება სპეციალური განყოფილება „ბავშვთა სამყარო“. ნაზა ტანსაცმლის ექსპედიცია მოეწყობა ვაჭრობის ახალი, პროგრესული ფორმების მიხედვით.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ უფროსი გამყიდველები ნორა ზაგაშვილი, მარგო კარაგულიანი, ლილი აბაზაძე, როზა გაბისიანი და ეთერ ნინიაშვილი.

კრებამ მოუწოდა რესპუბლიკის სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებს ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში, ენერგიული შრომით მიაღწიონ პარტიისა და მთავრობის მიერ ვაჭრობის მუშაკთა წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით შესრულებას.

ე. მამალაძე.

* * *

სურათზე: საჩუქრების სექციაში. გამყიდველები (მარცხნიდან) ლ. ბაკურაძე, ტ. სვანიძე, დ. ქარქოსაშვილი, ნ. ზაგაშვილი, თ. გუგავა ამოწმებენ ახლადმიღებულ სერვიზს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სამი კვირა თოვლქვეშ

ჩვიდმეტ იანვარს ჩვენს საავადმყოფოში მოიყვანეს ანა დიმიტრის ასული ტუვიშევა. ხელებისა და ფეხების თითები მოყინული ჰქონდა, სხეულზე წვრილი იარები გასჩენოდა. ეს განსაკუთრებით იშვიათი შემთხვევა იყო.

მალე დაწვრილებით შევიტყეთ უბედურება, ამ ქალს რომ ეწია.

გასული წლის დეკემბრის დამლევს ტუვიშევა სოფელ კალინინოდან წავიდა ათი კილომეტრით დაშორებულ სოფელ ფირსოვოში. მას ქალიშვილთან მიეჩქარებოდა და ყურადღება არ მიუქცევია, რომ ქარბუქი იწყებოდა. რამდენიმე კილომეტრი რომ გიარა, ქარბუქი გაძლიერდა. ქალი ღრმა თოვლში ეფლობოდა, მშრალი თოვლი სუთქვავს უკრავდა. ქანცგამოლეული წაწყდა ნამჯის პატარა გროვას და გადაწყვიტა აქ გაეთია ღამე.

მთელ მეორე დღეს მძინვარებდა ქარბუქი. ქალმა გადაიყარა დადებული თოვლი და განაგრძო გზის ძებნა, მაგრამ ვერ იპოვნა. განაწამები და ძალადაკარგული ღამის გასათევად წინანდელ თავშესაფარს დაუბრუნდა. მეორე დღეს ტუვიშევამ ვეღარ შეძლო იქიდან გამოსვლა. ზედ ედო თოვლის სქელი ფენა, რომელსაც შიგნით ყინულის ქერქი ჰქონდა. დაიწყო ორმოცგრადუსიანი ყინვები.

ყინვა კვლავ ქარბუქმა შეცვალა. თოვლის ფენა, რომლის ქვეშ ცოცხლად ჩაიმარხა ქალი, უფრო სქელი გახდა.

საძებნელად გასული იყო თოთხმეტი კაცი და ორმა მათგანმა აღმოაჩინა ქალი თოვლქვეშ ყოფნის მხოლოდ ოცდამეერთე დღეს.

ამქამად მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. ხელის ფუნქციები აღდგენილია, იარები მოურჩა. მხოლოდ ფეხის თითები ნაწილობრივ დაეზრო.

ანა დიმიტრის ასული ჯანღონით სავსე ქალი იყო. უთუოდ ამან გადაატანინა საშინელი განსაცდელი.

ნ. ლიუსარევსკი,
ქალაქის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგე.

ქ. ჩესნოკოვკა,
ალტაის მხარე.

ბრძოლა საჭადრაკო დაფებთან

ზამთრის სუსხით შეპყრობილმა ლენინგრადელებმა თბილად მიიღეს საქვეყნოდ ცნობილი მოჭადრაკეები, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ ორი საკითხის გასარკვევად: გაუგრძელონ თუ არა ტიგრან პეტროსიანს ჩემპიონობის ვადა და რომელ ოთხეულს (მ. ბოტვინიკისა და მ. ტალის გარდა) დაეკიროს საბჭოთა კავშირის სპორტული პრესტიჟის დაცვა XIV საჭადრაკო ოლიმპიადაზე.

ორივე პრობლემა საკმაოდ რთული აღმოჩნდა და მოჭადრაკეებიც სერიოზულად შეუდგნენ „დავას“.

ჯერჯერობით ლიდერობაზე მრავალი მოჭადრაკე აცხადებს პრეტენზიას. ტ. პეტროსიანი რომ ცდილობს კვლავ პირველი იყოს, ეს გაკვირვებას როდი იწვევს, მაგრამ მასზე არანაკლებ მონდომებული არიან ვ. კორჩნოი და ბ. სპასკი. მათაც ხომ უნდა ეღირსოთ ჩემპიონის ოქროს მედალი. მაგრამ ყველაზე მეტად იწვევს გაოცებას ნოვოსიბირსკელი ოსტატის ნ. კროგიუსის „ხელგადაკაპიწეული“ თამაში.

საინტერესოა თვალი ადევნო ლიდერების ქცევას თამაშის დროს.

ჭეშმარიტად შეუპოვარი მებრძოლია ვ. კორჩნოი. იგი თითქმის არ დგება სკამიდან და როგორც ქანდაკება გაქვავებული დასცქერის დაფას.

— ვ. კორჩნოი მალე „დაიწვება“, — თქვა ერთმა ლენინგრადელმა ოსტატმა. — არ შეიძლება ყოველ პარტიაში „ბეწვზე“ ეკიდო. ბოლოს და ბოლოს ნერვული სისტემა მოეშლება.

მართლაც, კორჩნოი უიმედო პოზიციებშიც კი ვეფხვივით იცავს თავს.

დამშვიდებულად თამაშობს ტ. პეტროსიანი. მისი პოზა, სვლების გაკეთების მანერა მეტყველებს თავისი ძალების იმ დიდ რწმენაზე, რომლითაც გროსმაისტერი წარმატებებს აღწევს. მაშინაც კი, როცა ვ. სმისლოვთან ეწეოდა უსიამოვნო დაცვას, ტ. პეტროსიანს მოღიმარი სახე ჰქონდა.

ნ. კროგიუსს თითქოს „რკვენია“ მოგებისა და ალმური გადაჰკრავს სახეზე, ზმორად დგება, დასეირნობს. ერთხელ შეეკითხე:

— სად გინდათ ბოლომდე „იაროთ“?

— ვინ გაგიშვებს, მზად არიან „გადამყლაპონ“, — მიპასუხა მან.

დაახლოებით ასე გამოიყურებიან ლიდერები. დღეისათვის, რასაკვირველია, ჯერ კიდევ მოსალოდნელია ცვლილებები, თამაში ხომ ახლა შედის გადამწყვეტ ფაზაში.

ტურნირი მარტო მონაწილეებით როდი ამოწურება. მისი „თანამგზავრები“ არიან მაყურებლები, მწვრთნელები, გაზეთებისა და რადიოს კორესპონდენტები და სხვ.

ლენინგრადელი მაყურებლები ობიექტურები არიან. თუმცა სიმპათიები ბ. სპასკის, ვ. კორჩნოისა და მ. ტაიმანოვის მხარეზეა. მათ ესმით ჭადრაკი, და ამიტომ იყო, რომ აზერბაიჯანის